ალექსანდრე ბერიაშვილი

ქურდული სამყაროს ზეგავლენა არასრულწლოვანთა ქცევის ფორმირების პროცესში

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2020 წელი

საავტორო უფლება © 2020 წელი, ალექსანდრე ბერიაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: _____ (ზუხრა მაცაბერიძე)

თარიღი : 24.08.2020

ანოტაცია

ნაშრომი, ქურდული სამყაროს ზეგავლენა არასრულწლოვანთა ქცევის ფორმირების პროცესში, შედგება ოთხი თავის, თერთმეტი პარაგრაფის, შესავალის და დასკვნისაგან.

ნაშრომის პირველ თავში, ქურდული სამყაროს წარმოშობა განვითარება და გავლენა საზოგადოებაზე, განხილულია ქურდული სამყაროს წარმოშობა და განვითარება, აღნიშნულია რომ ქურდული სამყაროს წარმოშობა და განვითარება მეთვრამეტე საუკუნიდან იწყება, თუმცა ორგანიზებული სახე მეოცე საუკუნის დასაწყისში მიეცა. გარკვეულწილად „ქურდული სამყაროს“ შექმნაში წვლილი საბჭოთა კავშირის მაშინდელ ხელმძღვანელობასაც მიუძღვის, რადგან მათ სურდათ საკუთარი მიზნებისთვის გამოეყენებინათ „კანონიერი ქურდები“ და ზოგადად „ქურდული სამყარო“, მაგრამ დროთა განმავლობაში ისე გაძლიერდნენ, რომ მათი დამორჩილება შეუძლებელი გახდა, სწორედ ამიტომ გამოცხადდა ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

1930-იან წლებში სსრკ-ში კრიმინალური ელემენტისა და დანაშაულებრივი საზოგადოების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების გამო, რომელიც ძლიერდებოდა კოლექტივიზაციისა და შიმშილობის კვალდაკვალ, კრიმინალურმა საზოგადოებებმა ორგანიზებულ ჯგუფებად ჩამოყალიბება დაიწყეს. სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდნენ ე.წ. „კანონიერი ქურდები“, რომლებიც თავს კრიმინალური ტრადიციების დამცველებს უწოდებდნენ.

დღის მდგომარეობით კანონიერი ქურდები თავის საქმიანობას ახორციელებს მსოფლიოს მრავალ ქვეყნებში. კანონიერი ქურდების დიდმა ნაწილმა საქართველო დატოვა, ნაწილი კი სასჯელს იხდის ქურდული სამყაროს წევრობისათვის, ,,ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის წინააღმდეგ'' საქართველოს კანონის საფუძველზე.

ნაშრომის მერორე თავში განხილულია, არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის წინაპირობები, მათი სოციალიზაცია, დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევი ფაქტორები, აგრესიის ჩამოყალიბების მიზეზები არასრულწლოვნებში და

არასრულოვანთა დეინდივიდუალიზაცია, როგორც ქურდული მენტალობის ჩამოყალიბების უმთავრესი მიზეზი.

აღსანიშნავია, რომ არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც კრიმინოლოგები თვლიან, რომ შეიძლება ხელი შეუწყონ არასრულწლოვანის კრიმინალურ ქცევას, ეს ფაქქტორებია: ბიოლოგიური, ბავშვთა არასასურველი გამოცდილება, ნეგატიური სოციალური გარემო, ნივთიერების ბოროტად გამოყენება და სხვა.

დღეს უკვე აღარავინ კამათობს იმაზე, რომ დანაშაულებრივი ქცევა და ნივთიერების ბოროტად გამოყენება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

თანამედროვე მსოფლიოში არსებობს არსებობს უამრავი გზა, რის შედეგადაც ადამიანი შეიძლება გახდეს კრიმინალი, თუმცა ძირითადი განნმსაზღვრელი ფაქტორი მაინც ბავშობის გამოცდილებაა, როგორც ოჯახში, ასევე იმ საზოგადოებაში სადაც არასრულწლოვანი იზრდება.

ნაშრომის მესამე თავში, განხილულია ქურდული სამყაროს როლი არასრულწლოვანთა ქცევის ფორმირებაში, „ძველი ბიჭის“ მენტალიტეტი, ასევე არასრულწლოვანთა დანაშაულის დახასიათება და პრევენციული ღონისძიებები.

მნიშვნელოვანია არასრულწლოვანის სოციუმი, რადგან მათი გავლენა არასრულწლოვანზე ძალიან დიდია, ფაქტიურად მოზარდი იმეორებს იმ ადამიანების ქცევას, რომლებთანაც ურთიერთობა უხდება. ამ ასაკში პიროვნული ღირებულების მნიშვნელობა უფრო იკვეთება, ვიდრე მის წინაშე არსებული საფრთხეები.

ასევე აღსანიშნავი და ძალიან მნიშვნელოვანია არასრულწლოვანის ბიოლოგიური მომწიფების პერიოდი. თუ ამ პერიოდში მოზარდს არ აქვს ოჯახის და

საყვარელი ადამიანების მხარდაჭერა, შესაძლებელია, რომ მარტივად მოექცეს „ძველი ბიჭების“ და „კანონიერი ქურდების“გავლენის ქვეშ.

ნაშრომის მეოთხე თავში, ქურდული სამყაროს ზეგავლენის შემცირების პრევენციული ღონისძიებები არასრულწლოვნებთან მიმართებაში, განხილულია სახელმწიფოს როლი და ბრძოლა ქურდული კანონების წინააღმდეგ, ანტიქურდული კანონმდებლობის დახვეწა და არასრულოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა საქართველოში.

საქართველოში ანტიკურდული კანონმდებლობის დახვეწა უკვე 2003 წლის ბოლოდან დაიწყო, თუმცა აქტიური ცვლილებები დაიწყო ვარდების რევორუციით ხელისუფლებაში მოსული მთავრობის მიერ. 2004-2006 წლებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქურდული სამყაროს წინააღმდეგ.

საქართველომ მოახერხა და თითქმის მთიანად გაზმინდა ქვეყანა „კანონიერი ქურდებისა“ და ორგანიზებული დანაშაულისაგან.

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ დაიწყო სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, თუმცა როგორც დრომ აჩვენა საკმაოდ უარყოფითი შედეგები მოიტანა, სწორედ ამიტომ აუცილებელი გახდა კვლავ მკაცრი მიდგომების შემოღება.

არასრულწლოვანი განსაკუთრებული დაცვის ობიექტია, რადგან მისი ფსიქიკა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, ის რაც ზრდასრულისათვის უმნიშვნელოა არასრულწლოვანის ფსიქიკაზე ძალიან უარყოფითად შეიძლება აისახოს.

ამასთანავე გასათვალისწინებელია არასრულწლოვანის პირადი მახასიათებლები, როგორიცაა მისი გენეტიკა, სქესი, ზოგადი განვითარების დონე და სხვა. ასევე მნიშვნელოვანია არასრულწლოვანის ოჯახი და ზოგადი გარემო სადაც ბავშვს უწევს ცხოვრება.

ამ და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზე დაყრდნობით განხორციელდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა და შეიქმნა არასრულწლოვანთა

მართლმსაჯულების კოდექსი. მისი შექმნა საკმაოდ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს, რადგან კანონში გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა მახასიათებლები და შესაბამისად დაცულია მათი უფლებები და თავისუფლებები.

ნაშრომი სრულდება დასკვნით.

Annotation

The paper, The Influence of the Thieving World on the Formation of Juvenile Behavior, consists of four chapters, eleven paragraphs, an introduction, and a conclusion.

In the first chapter of the paper, the origin and development of the thieving world, the origin and development of the thieving world are discussed. To some extent, the Soviet leadership also contributed to the creation of the "world of thieves" because they wanted to use "thieves in law" and the "thieves' world" in general for their own purposes, but over time they became so powerful that it became impossible to subdue them.

In the 1930s, due to the intensification of the fight against the criminal element and criminal society in the USSR, which intensified in the wake of collectivization and famine, criminal societies began to form organized groups. It was during this period that the so-called "Thieves in law" who called themselves the defenders of criminal traditions.

As of today, thieves in law are operating in many countries around the world. Most of the thieves-in-law have left Georgia, and some are serving sentences for membership in the thieving world under Georgian law against organized crime and racketeering.

The second chapter of the paper discusses the preconditions for the involvement of juveniles in criminal activities, their socialization, the factors causing criminal behavior, the reasons for the formation of aggression in juveniles and

Deindividualization of minors as a major reason for the formation of a thieving mentality.

It should be noted that there are several important factors that criminologists believe may contribute to juvenile delinquent behavior, these factors are: biological, child-centered experiences, negative social environment, substance abuse, and more.

Today, no one argues that criminal behavior and substance abuse are closely linked.

In the modern world there are many ways in which a person can become a criminal, however the main determining factor is still the experience of childhood, both in the family and in the society where the juvenile grows up.

The third chapter of the paper discusses the role of the thieving world in shaping the behavior of minors, the mentality of the "old boy", as well as the characterization of juvenile delinquency and preventive measures.

The juvenile society is important because their impact on the juvenile is so great, in fact the adolescent repeats the behavior of the people with whom he or she interacts. At this age, the importance of personal value is more obvious than the dangers it faces.

Also noteworthy and very important is the period of biological maturation of the juvenile. If a teenager does not have the support of family and loved ones during this period, he or she may easily be influenced by "old boys" and "thieves in law".

The fourth chapter of the paper, Preventive Measures to Reduce the Impact of the Thieving World on Minors, discusses the role of the state and the fight against thieving laws, the refinement of anti-thieves legislation, and the reform of juvenile justice in Georgia.

The refinement of anti-Kurdish legislation in Georgia began in late 2003, although active changes began by the government that came to power with the Rose Revolution. In 2004-2006 quite important steps were taken against the thieving world.

Georgia has managed to rid the country of "thieves in law" and organized crime.

Liberalization of criminal law began after the arrival of the new government, but as time has shown, it brought quite negative results, which is why it became necessary to introduce tough approaches again.

The juvenile is the object of special protection because his psyche is still unformed, what is insignificant for the adult can have a very negative impact on the juvenile's psyche.

In addition, the personal characteristics of the juvenile, such as his / her genetics, sex, general level of development, etc. should be taken into account. The family of the minor and the general environment in which the child lives are also important.

Based on these and other important factors, the juvenile justice reform was implemented and the Juvenile Justice Code was created. Its creation should be considered a rather advanced step, as the law provides for the characteristics of minors and therefore protects their rights and freedoms.

The paper concludes.

სარჩევი

Contents

შესავალი 11

თავი 1. ქურდული სამყაროს წარმოშობა განვითარება და გავლენა საზოგადოებაზე 14

1.1 ქურდული სამყაროს წარმოშობა 14

1.2 ქურდული სამყაროს განვითარება 17

თავი 2. არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის წინაპირობები 21

2.1 არასრუწლოვანთა სოციალიზაცია 21

2.2 დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევი ფაქტორები 23

2.3 აგრესიის ჩამოყალიბების მიზეზები არასრულწლოვნებში 25

2.4 არასრულოვანთა დეინდივიდუალიზაცია, როგორც ქურდული მენტალობის ჩამოყალიბების უმთავრესი მიზეზი 28

თავი 3. ქურდული სამყაროს როლი არასრულწლოვანთა ქცევის ფორმირებაში 32

3.1 „ძველი ბიჭის“ მენტალიტეტი 32

3.2 არასრულწლოვანთა დანაშაულის დახასიათება და პრევენციული ღონისძიებები 33

თავი 4. ქურდული სამყაროს ზეგავლენის შემცირების პრევენციული ღონისძიებები არასრულწლოვნებთან მიმართებაში 37

4.1.სახელმწიფოს როლი და ბრძოლა ქურდული კანონების წინააღმდეგ 37

4.2 ანტიქურდული კანონმდებლობის დახვეწა 48

4.3 არასრულოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა 50

დასკვნა 59

ბიბლიოგრაფია 61

შესავალი

ორგანიზებული დანაშაული დანაშაულებრივი საქმიანობის ერთ–ერთი ყველაზე საშიშ გამოვლინებას წარმოადგენს. რომელიც მავნე ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ მხარეებზე. იგი კარგა ხანია გაცდა ქვეყნის ფარგლებს და საერთაშორისო დანაშაულთა რიგს განეკუთვნება. ორგანიზებული დანაშაული, მისი ერთ-ერთი ყველაზე საშიში გამოვლინება -,,ქურდული სამყარო" და ,,კანონიერი ქურდები", ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული ქართულ საზოგადოებაზე უდიდეს უარყოფით ზეგავლენას ახდენდა. აღნიშნულმა კრიმინალურმა სუბკულტურამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში .ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ე.წ ,,ქურდული გარჩევები", პრობლემების გადაწყვეტამ კანონიერი ქურდებისა და კრიმინალური ავტორიტეტების მიერ ფაქტიურად ჩაანაცვლა სასამართლო სისტემა. აღნიშნულმა ინსტიტუტმა საქართველოში წარმატებით მოიკიდა ფეხი, რაზეც უდაოდ მოწმობს ყოფილ საბჭოთა კავშირისა თუ მსოფლიო მასშტაბებით მართლაც შთამბეჭდავი პროცენტული რაოდენობა ქართველი კანონიერი ქურდებისა.

„ქურდული სამყაროს“ კარგად ორგანიზებული მართვის სტრუქტურა, სუბორდინაციისა და მისი წევრების კონტროლის მკაცრი სისტემა გააჩნია, რომელიც

სულ უფრო იხვეწება და უმჯობესდება ის არალეგალური გზები და მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია გარკვეული მატერიული თუ სხვა ნებისმიერი სარგებლის მიღება. ეს ყოველივე კი ეჭვგარეშეა, მძლავრ ანტისახელმწიფოებრივ სეგმენტს ქმნის, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყანაში, არა მხოლოდ დემოკრატიის განვითარებას, არამედ თითოეული ადამიანის სიცოხელს, ჯანმრთელობას ოჯახისა და არასრულწლოვანთა ინტერესებს.

იმისთვის რომ ამ ინსტიტუტმა იარსებოს, მას მუდმივად სჭირდება განახლება „ცოცხალი ძალის“ სახით, ეს „ცოცხალი ძალა“ კი, სწორედ ის ახალაზრდები არიან,

რომეთლაც ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ფსიქიკა და ცნობიერება გააჩნიათ, არ აქვთ განსაზღვრული ის მიზნები პრიორიტეტები, რომლის არჩევის შემთვევაშიც გახდებიან კანონმორჩილი მოქალაქეები, რომლებიც მხოლოდ ლეგალური შრომით მიიღებენ საკუთარ სარგებელს. ქურდული სამყაროს წევრები კი, მუდმივად ცდილობენ გამოგონილი და გაზვიადებული ისტორიებით, მათი „გმირობების“ შესახებ, მოხიბლონ და მიიზიდონ ახალგაზრდები, ანდა შეუქმნან ამ უკანასკნელებს ისეთი წარმოდგენა, რომ კრიმინალური, არაკანონიერი გზით ცხოვრება უზრუნველყოფილი მომავლის საწინდარია, რაც ხშირ შემთხვევაში არასრულწლოვნების მხრიდან დიდ ყურადღებას იქცევს.

ნაშრომის მიზანს წამოადგენს წარმოაჩინოს ქურდული სამყაროს მავნე ზეგავლენა ახალგაზდების ფსიქიკის ჩამოყალიბების პროცესში, აგრეთვე მკითხველს დაანახოს ამ პრობლემის მოგვარების ახალი გზები და მეთოდები, რომლებიც ამ ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს.

ძირითად საკვლევი საკითხები

ნაშრომში განხილული იქნება ზოგადად ის პოლიტიკური, სოციალური, ზნეობრივი და მენტალური პრობლემები, რამაც განაპირობა ,,კანონიერი ქურდობის'', როგორც ინსტიტუტის ჩამოყალიბება. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ქართული საზოგადოების დამოკიდებულების საკითხს ამ ინსტიტუტისადმი, მთავარი ადგილი დაეთმობა კრიმინალური სუბკულტურის ზეგავლენის პროცესის ანალიზს არასრულწლოვანთა ქცევის ფორმირების ეტაპზე. კვლევის ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა: დესკრიფციუილი მეთოდი, ანალიტიკური მეთოდი, სინთეზური და სხვა მეთოდები , ვიმსჯელებთ ამ სუბკულტურის ზეგავლენს ხარისხზე და როლზე საზოგადოების სხვადასხვა ფენასა თუ ასაკობრივ ჯგუფზე. განვიხილავთ თუ რა როლის შესრულება შეუძლია საზოგადოების აქტიურ ჩართულობას ორგანიზებულ დანშაულთან ბრძოლის პროცესში.

თემის ფარგლებში განხილული იქნება როგორ ხდებოდა, ხდება და უნდა ხდებოდეს ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, მათ შორის სამოქალაქო განათლება, როგორც პრევენციული ღონისძიება, საზოგადოების ჩართულობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ორგანიზებული დანაშულს წინააღმდეგ ბრძოლა ვერ დასრულდება წარმატებით თუ აღნიშნული არის მხოლოდ სახელმწიფო უწყებების სურვილი და საზოგადოებას გულგრილი დამოკიდებულება აქვს ან არ არის მზად გაერთიანდეს ამ დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის მეთოდად განისაზღვრა კვლევის თვისობრივი მეთოდები, რადგან თვისობრივი მეთოდები საშუალებას იძლევა ჩავწვდეთ საკითხის არსს და სიღრმისეულად წარმოვაჩინოთ საკითხი. კვლევისას ასევე გამოყენებულ იქნა ისტორიული, ლოგიკური და შედარებითი სამართლებრივი მეთოდები.

თავი 1. ქურდული სამყაროს წარმოშობა განვითარება და გავლენა საზოგადოებაზე

1.1 ქურდული სამყაროს წარმოშობა

ქურდული სამყაროს განვითარება მეთვრამეტე საუკუნისან იწყება, მაგრამ ორგანიზებული სახით მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა.

1930-იან წლებში სსრკ-ში კრიმინალური ელემენტისა და დანაშაულებრივი საზოგადოების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების გამო, რომელიც ძლიერდებოდა კოლექტივიზაციისა და შიმშილობის კვალდაკვალ, კრიმინალურმა საზოგადოებებმა ორგანიზებულ ჯგუფებად ჩამოყალიბება დაიწყეს. სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდნენ ე.წ. „კანონიერი ქურდები“, რომლებიც თავს კრიმინალური ტრადიციების დამცველებს უწოდებდნენ.[1]

ქურდებმა შექმნეს სპეციალური ქცევის კოდექსი, საკუთარი ადათ-წესები და ტრადიციები, რომელიც ითვალისწინებდა სოციალური ნორმების და წესების სრულ უარს, მათ შორის ოჯახთან დაკავშირებულ წესებს (კანონიერი ქურდი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს მუდმივი კავშირები ქალებთან). აკრძალვები ეხებოდა სახელმწიფო უწყებებთან რაიმე სახის თანამშრომლობის შესაძლებლობებსაც. [2]

ქურდული სამყარო მოთხოვდა მათ მიერვე შექმნილი კანონების მორჩილებას. ქურდული კანონის და ქურდების რწმენის შეუსრულებლობისთვის, სასჯელი ეკისრება ნებისმიერ პირს, ხშირად საქმე ლიკვიდაციამდეც მიდიოდა. ეს კი კარგი ორგანიზების და გუნდური თანმიმდევრულობის საფუძვლად მიიჩნეოდა.

---

[1] Роулинсон П. Российская организованная преступность: краткая история // Российская организованная преступность: новая угроза? — М., 2000, გვ. 75.

[2] Роулинсон П. Российская организованная преступность: краткая история // Российская организованная преступность: новая угроза? — М., 2000, გვ.76.

კანონიერი ქურდების შეკრებაზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება შეუძლებელია[3] და ყველა ძალისხმევა განხორციელდება სასჯელის განსახორციელებლად. ქურდებისთვის კანონი ითვალისწინებს სამი სახის სანქციას, რომლის დაწესება შესაძლებელია მხოლოდ შავი ქურდების შეხვედრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ეგრეთ წოდებული „წესის“ შედეგად, რომლის დროსაც კანონიერი ქურდების შეკრებისას განისაზღვრება თუ რომელი ქურდული კანონი დაირღვა და რა სასჯელი ეკისრება, დამრღვევ პირს. [4]

დროთა განმავლობაში ქურდული კანონები და წესები იცვლებოდა, თუმცა, ძირითადი პრინციპები თითქმის არ შეცვლილა. აღსანიშნავია, რამდენიმე, მაგალითად ქურდებისათვის აკრძალული იყო და დღესაც აკრძალულია:

- შრომა საზოგადოებრივი სარგებლობისათვის,
- სახელმწიფო ინტერესების იარაღით დაცვა,
- ხელისუფლებასთან თანამშრომლობა ნებისმიერი სახით, მათ შორის დაზარალებულის და მოწმის სახით;
- ქურდებისთვის სავალდებულოა ფულის შეტანა საერთო სალაროში.[5]

ზოგადად, ქურდების ეთიკა იყო ციხის ცხოვრების ფასეულობებისა და წესების გადაცემა საზოგადოებისათვის, მათ შორის მომავალი თაობებისათვის.[6]

2005 წელს სოციოლოგებმა სვეტლანა სტივენსონმა, ალექსანდრე სალაგაევმა, ალექსანდრე შაშკინმა, რუსტემ სატინმა გამოკითხეს 17-დან 35 წლამდე ასაკის სხვადასხვა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების 32 წევრი. ეს ჯგუფები აკონტროლებდნენ აზარტული თამაშების ბაზარს, ტაქსის მძღოლებს, მცირე ზომის

---

[3] Александров Ю. К. Очерки криминальной субкультуры. М.: Права человека. 2012.გვ. 152.

[4] Скобликов П. А. Вор в законе. МВД России: энциклопедия. Olma Media Group, 2002.გვ. 90-91.

[5] ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, გ. ნაჭყებიას რედაქტორობით, თბილისი, 2012, გვ. 482.

[6] В.В. ВОЛКОВ, СИЛОВОЕ ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСТВО В СОВРЕМЕННОЙ РОССИИ. ecsocman.hse.ru. 12 .01.2019.

კომპანიების სატვირთო მანქანებს, პროსტიტუციას, აწყობდნენ ქუჩის უკანონო პარკინგებს და ყიდდნენ ნარკოტიკების. ჯგუფები ფლობდნენ ავტოგასამართ სადგურებს, კაფეებს და მაღაზიებს. ბანდების უმცროსი წევრები მათსავე თანატოლებს ძალავდნენ ფულს ან ქურდობდნენ.

ჯგუფების წევრებმა მათ მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობას "ცხოვრების სკოლა" უწოდეს. ყველა მოზარდი რომელიც აღნიშნულ „ცხოვრების სკოლას“ გადიოდა ნამდვილ მამაკაცებად მიიჩნეოდა. იმ ”ცნებებს შორის”, რომლითაც ცხოვრობენ ბანდების წევრები (”ბიჭები”) იყო ისეთი რეცეპტები, როგორიცაა ”ბიჭის” მოვალეობა, რომ იყოს ფიზიკურად ძლიერი. "ბიჭები" ვერ შეებრძოლებიან "არა ბიჭების" ჯგუფს და რომ "ბიჭი ყოველთვის მართალია". მან უნდა შეძლოს „სწორად ისაუბროს“ და მხარი დაუჭიროს მათ საზოგადოებაში არსებულ „ცნებებს“. "ბიჭი" უნდა იყოს პასუხისმგებელი მის სიტყვებზე, ყველა მისი განზრახვა, განცხადება, მუქარა და დაპირება დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს.

საბჭოთა პერიოდის ქურდულმა საზოგადოებამ თავი წარმოაჩინა სახელმწიფოსთან შეურიგებელი წინააღმდეგობის გზით. ამის საპირისპიროდ, პოსტსაბჭოთა რუსეთში კრიმინალური ბანდების წევრები ორიენტირებულნი არიან ფართო კავშირების შენარჩუნებაზე იმ ადამიანებთან, რომლებსაც აქვთ ოფიციალური ძალა. მაგალითად, სოციოლოგების მიერ გამოკითხული ჯგუფების წევრები ამაყობდნენ თავიანთი ოჯახური და სამეზობლო კავშირებით პოლიციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან (მიუხედავად იმისა, რომ, რა თქმა უნდა, მკაცრად აკრძალული იყო ხელისუფლების ინფორმირება ჯგუფის წევრების შესახებ). ამგვარი კავშირები მათ დაეხმარება, თავიდან აიცილონ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და დაიცვან ისინი კონფლიქტურ სიტუაციებში. გამოკითხული ჯგუფის ზოგიერთი წევრი ცდილობდა პოლიტიკური კარიერის გაკეთებას.

ამერიკელმა სოციოლოგმა რანდოლ კოლინზმა შემოგვთავაზა პატრიმონიული ალიანსების კონცეფციის გამოყენება ქუჩის კრიმინალური ბანდების დასახასიათებლად. ამ ტიპის სოციალური ორგანიზაციის მაგალითები იყო ძველი ბერძენი მეომრების რაზმები, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ იერიშების განსახორციელებლად ურბანულ დასახლებებზე, ვიკინგთა რაზმებზე. თანამედროვე სახელმწიფოებში ასეთი ალიანსები ჯერ კიდევ არსებობს, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები არ ფუნქციონირებენ ან მათი მოქმედება არაეფექტურია.

მკვლევარები მიუთითებენ რუსეთში კრიმინალური და სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების ანალოგიურ მახასიათებლებზე, რომლებიც დაფუძნებულია არა კანონზე, არამედ დომინირებისა და ძალადობის განხორციელების კერძო საფუძვლებზე.[7]

ამრიგად, „კანონიერი ქურდები'' ორგანიზებული დანაშაულის სულისჩამდგმელები და წინამძღოლები იყვნენ. ისინი აკონტროლებდნენ სხვადასხვა ბიზნესებს და ბანდების გაძლიერების მიზნით, ზეგავლენეს ახდენდნენ მოზარდ თაობაზე.

1.2 ქურდული სამყაროს განვითარება

,,ქურდული სამყაროს" შექმნაში საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის სახელმწიფოს, რომელსაც საკუთარი მიზნების განსახორციელებლად სურდა მათი გამოყენება, მაგრამ იმდენად დიდი და ორგანიზებული ჯგუფი შეიქმნა,, რომ მისი გაკონტროლება ვეღარ შეძლო და ძალიან დიდ თავსატეხად იქცა სახელმწიფოსათვის.

[7] Светлана Стивенсон. Жизнь по понятиям: «реальные пацаны» и их моральные правила. magazines.russ.ru. 12.01.2019.

თავდაპირველად „კანონიერი ქურდები“ და ზოგადად ქურდული სამყარო ძალიან ეფექტურად მუშაობდა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. იგი ნამდვილად ამართლებდა მაშინდელი ხელისუფლების მიზნებს, მაგრამ როდესაც საკუთარი ძალა იგრძნეს მათი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. მათ გადაწყვიტეს, რომ არავის დამორჩილებოდნენ და თავად გადაეწყვიტათ ვისთან ეთანამშრომლათ. ქურდული სამყაროს აღნიშნული გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა სცდებოდა საბჭოთა კავშირის მიზნებს, ამიტომ იძულიებული გახდა, რომ მათ დაპირისპირებოდა და თუ აქამდე ქურდული სამყაროს გაძლიერებას ცდილობდა, ახლა დაემარცხებინა. თავდაპირველად ბრძოლა ძალიან უშედეგო გამოდგა, რადგან ,,ქურდული სამყაროს“ ავტორიტეტებისადმი პატივისცემა და ნდობა უფრო მაღალი იყო, ვიდრე სახელმწიფოს ორგანოებისადმი ნდობა.[8]

საქართველოში ვითარება ისევე ვითარდებოდა, როგორც რუსეთში და საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში, თუმცა შესაძლებელია ქურდული სამყაროს განვითარება შემდეგ ეტაპებად დავყოთ:

- მეოცე საუკუნის დასაწყისი ზოგადად ქურდული სამყაროს განვითარების დასაწყისია. სწორედ ამ პერიოდში მოხდა დამნაშავეთა შერწყმა სპეკულიანტებთან და სხვა ახალი ტიპის დამნაშავე სუბიექტებთან. საბოლოოდ კი ქურდულ სამყაროში გაერთიანდა ძალიან ბევრი სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ადამიანი.

ქართველი პროფესიონალი ქურდები სპეციალიზებულნი იყვნენ შემდეგ დარგებში:

- სპეციალისტები სეიფების გახსნაში „მედვეჟატნიკები“ ;
- ჯიბის ქურდები - „ჯიბგირები“
- ბინის |სახლის ქურდები - „დომუშნიკები“;

[8] ხუხუნაიშვილი ზ., ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი თემიდა, № 4(6), თბილისი, 2010, გვ. 134.

- მძარცველები, იარაღის გამოყენებით - „სტოპორილები“ ;
- სარეცხი თოკიდან თეთრეულის მპარავები - „გულუბიატნიკები“ ;
- დახლის ქურდები - „გოზდუშნიკები“. [9]

მეორე ეტაპზე, მეოცე საუკუნის 30 - იან წლებში დამყარდა სასტიკი დიქტატურა, თუმცა მის პარალელურად ,,კანონიერი ქურდების'' კასტა ჩამოყალიბდა.[10]

მესამე ეტაპზე, მეოცე საუკუნის 40-იან წლებში, სამამულო ომის პერიოდში ქურდებს ფრონტზე წასვლით მიეცათ საკუთარი დანაშაულის გამოსყიდვის საშუალება, პირველ ეტაპზე თითქმის ოთხასიათასმა პატიმარმა გამოთქვა ომში წასვლის სურვილი, შემდეგ კი მათი რაოდენობა მილიონამდე გაიზარდა. [11]

ომის დასრულების შემდეგ, 60-70-იან წლები გამოჩნდნენ ორგანიზებული ფორმით მომუშავე დანაშაულებრივი ჯგუფები.[12]

მეოცე საუკუნის 80-იან წლებში კი საბჭოთა კავშირში თანამედროვე ორგანიზებული დანაშაულების საბოლოო ფორმირება მოხდა,[13] რასაც, საბჭოთა მმართველობის შესუსტებას კვალდაკვალ მათი გაძლიერება მოჰყვა.

რაც შეეხება კონკრეტულად საქართველოს, მეოცე საუკუნის 90-იანი წლები საკმაოდ რთული იყო, როგორც ქვეყნისათვის, ასევე ქურდული სამყაროსათვის. ბრძოლები მიმდინარეობდა სხვადასხვა ფრონტზე, სიმართლის და ტყუილის გარჩევით არავინ ინტერესდებოდა.[14]

---

[9] ხუხუნაიშვილი ზ., ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი თემიდა, № 4(6), თბილისი, 2010, გვ. 12;

[10] ლობჟანიძე გ., ღლონტი გ., კანონიერი ქურდები საქართველოში: ისტორია და რეალობა, თბილისი, 2004, გვ.41

[11] ლობჟანიძე გ., ღლონტი გ., კანონიერი ქურდები საქართველოში: ისტორია და რეალობა, თბილისი, 2004, გვ.47.

[12] ლობჟანიძე გ., ღლონტი გ., კანონიერი ქურდები საქართველოში: ისტორია და რეალობა, თბილისი, 2004, გვ.41.

[13] ლობჟანიძე გ., ღლონტი გ., კანონიერი ქურდები საქართველოში: ისტორია და რეალობა, თბილისი, 2004, გვ.41

[14] მესხიშვილი დ., ორგანიზებული დანაშაული, თბილისი, 2012, გვ. 139.

დღის მდგომარეობით კანონიერი ქურდები თავის საქმიანობას ახორციელებს მსოფლიოს მრავალ ქვეყნებში. კანონიერი ქურდების დიდმა ნაწილმა საქართველო დატოვა, ნაწილი კი სასჯელს იხდის ქურდული სამყაროს წევრობისათვის, ,,ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის წინააღმდეგ'' საქართველოს კანონის საფუძველზე.

თავი 2. არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის წინაპირობები

2.1 არასრუწლოვანთა სოციალიზაცია

სოციალიზაცია არის პროცესი, რომლის საშუალებითაც ინდივიდები ადაპტირებენ და საერთო სოციალური ჯგუფის ნორმებს, ფასეულობებს, ადათებს და ქცევას შესაბამისად. [15]

სოციალური კოდექსი, რომელსაც ბავშვები და მოზარდები სწავლობენ, სპეციფიკურია არა მხოლოდ მსოფლიოს სახელმწიფოებისა და რეგიონებისთვის, არამედ უფრო დიდი საზოგადოებების ისტორიულ პერიოდებსა და სოციალურ ჯგუფებზე.

სოციალურ ისტორიული კონტექსტი არის ბავშვთა და მოზარდთა სოციალიზაციის კრიტიკული განზომილება. გასათვალისწინებელია, რომ ერთი და იგივე „საზოგადოება“ ინდივიდები სულაც არ იზიარებენ ამ ჯგუფში დომინანტური კულტურის კუთვნილებას.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალიზაციის თეორიის კვლევები ხაზს უსვამს "ფართო საზოგადოების" გავლენაზე, ინდივიდები ხშირად განიცდიან ერთდროული სოციალიზაციის ზეწოლას როგორც დომინანტური კულტურის, ისე მარგინალიზებული სუბკულტურების მხრიდან. [16]

---

[15] Lutfey, K., & Mortimer, J. (2006). Development and Socialization through the Adult Life Course. In J. Delamater (Ed.), Handbook of Social Psychology (გვ. 183-202): Springer US.

[16] Hall, S., & Jefferson, T. (1976). Resistance through rituals: Youth subcultures in post-war Britain. New York: Holmes & Meyer

სოციალიზაციის თეორიების შესაბამისად მიიჩნევა, რომ ბავშვები შეტყობინებების პასიური მიმღებები არიან, როდესაც ისინი საზოგადოებაში ადაპტირების პროცესში არიან დაკავებულნი.[17]

პიერ ბურდიუ (1984) ინდივიდუალურ სოციალიზაციას წარმოაჩენს როგორც პროცესს, რომელზეც ინდივიდებზე გავლენას ახდენენ სპეციფიკური კულტურული ჯგუფი.

ფუკოს აზრით კი ინდივიდები არა მხოლოდ საზოგადოების მიერ ჩამოყალიბებული ობიექტებია, არამედ მათ შეუძლიათ საკუთარი სუბიექტურობის ამოქმედებაც.[18] თუმცა, როგორც სხვა უამრავმა კვლევებმა აჩვენა სოციალიზაცია ხდება ახალგაზრდების გარემოსთან ურთიერთქმედების დროს.[19]

ბრონფენბერნერის ეკოლოგიური სისტემების კაცობრიობის განვითარების თეორია (1979) აყალიბებს ბავშვს კონცენტრული წრეების რიგში, რომელიც წარმოადგენს სოციალიზაციის სხვადასხვა კონტექსტს. რომლის შესაბამისადაც ბავშვზე და მოზარდზე ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს მისი მიკროსისტემა - ოჯახი, და - ძმა, მეგობრები და სხვა. ასევე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მშობელ-მასწავლებლის ურთიერთობებს, მშობლების სამუშაო გარემოს და გაფართოებულ ოჯახურ ქსელებს. ამის შემდეგ მნიშვლელოვანია სკოლა, უბანი, ადგილობრივი მედია, ადგილობრივი ხელისუფლება და სხვა. [20] როგორც ჩანს მოზარდზე ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ ოჯახი და მისი მიკროგარემო, არამედ ზოგადად საზოგადოება და ამ საზოგადოებაში არსებული სიტუაციები. ადამიანის პირველადი სოციალიზაცია ხდება ბავშვობაში და იგი არ წყდება განსაზღვრულ

[17] Corsaro, W. A. (2011). The sociology of childhood (3rd ed.). Thousand Oaks: Pine Forge Press
[18] Foucault, M., Martin, L. H., Gutman, H., & Hutton, P. H. (1988). Technologies of the self: A seminar with Michel Foucault. Amherst, MA: University of Massachusetts Press.
[19] Handel, G., Cahill, S., & Elkin, F. (2007). Children and Society: The Sociology of Children and Childhood Socialization. New York: Oxford University Press.
[20] Bronfenbrenner, U. (1979). The Ecology of Human Development: Experiments by Nature and Design. Cambridge, MA: Harvard Univ Press.

ასაკში, არამედ გრძელდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში. შემდგომ სოციალიზაციას მოიხსენიებენ, როგორც მეორად სოციალიზაციას, რადგან ის შეიძლება ნაკლებად გავლენიანი იყოს, ვიდრე ის, რაც ბავშვობის პერიოდში ხდება.

2.2 დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევი ფაქტორები

სამწუხაროდ, დანაშაულის სტატისტიკა მთელი მსოფლიოს მაშტაბით ყოველწლიურად მზარდია. თუმცა, საზოგდოების მხოლოდ მცირე ნაწილი არის კრიმინალური საქმიანობით დაკავებული, საინტერესოა რა უბიძგებს მათ ჩაიდინონ დანაშაული?

ეს ის საკითხია, რამზეც კაცობრიობამ პასუხის ძიება ცივილიზაციის დასაწყისიდან დაიწყო.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ადამიანს, ვინც ჩადენს დანაშაულს, აქვს საკუთარი უნიკალური მიზეზები და ცხოვრებისეული სიტუაცია, არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც კრიმინოლოგები თვლიან, რომ შეიძლება ხელი შეუწყონ კრიმინალურ ქცევას.

- ✓ ბიოლოგიური რისკის ფაქტორები

ისევე, როგორც ჩვენ ვერ ვირჩევთ ჩვენი თვალის ფერს, არ შეგვიძლია ავირჩიოთ ჩვენი ტვინის ქიმიური შემადგენლობა. სწორედ ტვინში არსებულმა ქიმიურმა პროცესებმა შეიძლება ადამიანში განავითაროს ისეთი სურვილები და მოთხოვნილებები, რაც სხვა ადამიანისათვის მიუღებელი და დასაგმობია. ბიოლოგიური ფაქტორები რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია, მაგრამ ბიოლოგიური

ფაქტორებით შესაძლებელია მხოლოდ ვარაუდი იმისა, რომ ადამიანს ექნება კრიმინალური მიდრეკილებები ანუ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი აუცილებლად ჩაიდენს დანაშაულს.

- ✓ ბავშვთა არასასურველი გამოცდილება

ისე როგორც შეუძლებელია საკუთარი გენეტიკის შერჩევა, ასევე შეუძლებელია იმის გაკონტროლება თუ როგორ აღიზარდო. ზოგიერთი ბავშვი ძალიან მშვიდ და კარგ სიტუაციაში იზრდება, ზოგი არა. ზემოთ უკვე აიღნიშნა, რომ ადამიანზე ზეგავლენის მოხდენა პირველ რიგში ოჯახში ხდება. კვლევებმაც დაადასტურა, რომ განსაკუთრებით ცუდ სიტუაციებში გაზრდილ ბავშვებს კრიმინალური ქცევის ზრდა აქვთ, როგორც არასრულწლოვანთა, ასევე ზრდასრულ წლებში. ამასთანავე მსჯავრდებულ კრიმინალებს ოთხჯერ უფრო არასასურველი და ცუდი გამოცდილება აქვთ მიღებული ბავშვობაში ვიდრე არა-კრიმინალებს.[21]

- ✓ ნეგატიური სოციალური გარემო

ნებისმიერმა გარემომ, უბანმა, საზოგადოებამ შეიძლება უდიდესი გავლენა მოახდინოს ადამიანზე. თუ ადამიანი იზრდება გარემოში სადაც დანაშაულის ჩადენა ჩვეულებრივი მოვლენაა, არსებობს დიდი შანსი, რომ ასეთი ადამიანი მომავალში აუცილებლად ჩაიდენს დანაშაულს. თუმცა, კრიმინალების საზოგადოებაში ყოფნა არ არის ერთადერთი გზა, რასაც ჩვენს გარემოზე გავლენის მოახდენა შეუძლია. სხვადასხვა კვლევები ცხადყოფს, სიღარიბეში ცხოვრება ასევე ზრდის პატიმრობაში ყოფნის ალბათობას.

- ✓ ნივთიერების ბოროტად გამოყენება.

---

[21] James A Reavis, Jan Looman, Kristina A Franco , Briana Rojas; Adverse Childhood Experiences and Adult Criminality: How Long Must We Live before We Possess Our Own Lives? US National Library of Medicine
National Institutes of Health; 2013 Spring; 17(2): 44–48.

დღეს უკვე აღარავინ კამათობს იმაზე, რომ დანაშაულებრივი ქცევა და ნივთიერების ბოროტად გამოყენება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. აშშ-ის ციხეებში მოთავსებული ადამიანების 45 %-ი ბოროტად იყენებს ნარკოტიკს ან ალკოჰოლს.[22]

ნარკოტიკის და ალკოჰოლის მოხმარების შედეგები ყველა შემთხვევაში უარყოფითად აისახება ადამიანის ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, თვითკონტროლზე და გადაწყვეტილების მიღების უნარზე.

გარდა ამისა, არსებობს არსებობს უამრავი გზა, რის შედეგადაც ადამიანი შეიძლება გახდეს კრიმინალი, თუმცა ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი მაინც ბავშობის გამოცდილებაა, როგორც ოჯახში, ასევე იმ საზოგადოებაში სადაც არასრულწლოვანი იზრდება.

2.3 აგრესიის ჩამოყალიბების მიზეზები არასრულწლოვნებში

არასრულწლოვანის აგრესიული და ძალადობრივი ქცევა ძალიან დიდ შეშფოთებას იწვევს, როგორც მშობლებში და მასწავლებლებში, ასევე სახვა არასრულწლოვანთა შორისაც. თუმცა, მხოლოდ შეშფოთება არ კმარა. ზოგჯერ მშობლებს ჰგონიათ, რომ ბავშვი აგრესიის შეკავებას საკუთარი ძალებით შეძლებს, ან სკოლაში ასწავლიან, მასწავლებელი კი მხოლოდ დასჯით შემოიფარდლება.

ძალადობრივი ქცევა ბავშვებში, ნებისმიერ ასაკში, სერიოზულად უნდა იქნას მიღებული და განხილული, არ შეიძლება მისი იგნორი, რადგან ბავშვებში და

[22] What are the challenges in addressing substance use disorders in this population? Criminal Justice. June 2020 - https://www.drugabuse.gov/sites/default/files/drugfacts-criminal-justice.pdf

მოზარდებში ძალადობრივი ქცევა შეიძლება მოიცავდეს ქცევის ფართო სპექტრს: ფეთქებადი ტემპერამენტი, ფიზიკური აგრესია, ჩხუბი, მუქარის ან სხვისი დაზიანების მცდელობა (მათ შორის, სხვების მოკვლის სურვილების ჩათვლით), იარაღის გამოყენება, ცხოველების მიმართ სისასტიკე, სხვისი საკუთრების განზრახ განადგურება, ვანდალიზმი და სხვა.

ფაქტორები, რომლებიც ზრდის ძალადობრივი ქცევის რისკს:

კვლევებმა დაადგინეს, რომ კომპლექსური ურთიერთქმედება ან ფაქტორების ერთობლიობა იწვევს ბავშვებში და მოზარდებში ძალადობრივი ქცევის გაზრდის რისკს. ეს ფაქტორები მოიცავს:

- ✓ წინა აგრესიული ან ძალადობრივი ქცევა
- ✓ ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლი ან / და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი
- ✓ ძალადობა სახლში ან / და საზოგადოებაში
- ✓ ბულინგის მსხვერპლი ხდება
- ✓ გენეტიკური (ოჯახის მემკვიდრეობის) ფაქტორები
- ✓ მედიაში ძალადობის ზემოქმედება (ტელევიზია, ფილმები და ა.შ.)
- ✓ ნარკოტიკების ან / და ალკოჰოლის გამოყენება
- ✓ ცეცხლსასროლი იარაღის არსებობა სახლში
- ✓ ოჯახის სტრესული სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ერთობლიობა (სიღარიბე, მარტოხელა მშობლები, უმუშევრობა, გაფართოებული ოჯახის მხრიდან დახმარების დაკარგვა)
- ✓ თავის ტვინის დაზიანება თავის ტრავმისგან და სხვა.

ეს ფაქტორები შესაძლოა მიჩნეულ იქნეს გამაფრთხილებელ ნიშნად, რომ ბავშვი ჩაიდენს ძალადობრივ ქცევას.

როდესაც მშობელი ან მასწავლებელი ხედავს, რომ ბავშვი აგრესიულია, ამასთანვე ის მოქცეულია რისკ ჯგუფშიანუ მის ცხოვრებაში ფიქსირდება ზემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობა, დახმარებისათვის აუცილებლად უნდა მიმართოს სპეციალისტს.

პროფესიონალის მიერ ადრეული მკურნალობა შესაძლოა დაეხმაროს არასრულწლოვანს მისი მიდრეკილებების და ქცევების ფორმირებაში. თუმცა სპეციალისტის მუშაობის პარალელურად აუცილებელია იმ გარემოს მოწესრუგება სადაც ბავშვს უხდება ცხოვრება, მნიშნვნელობა არ აქვს ეს იქნება ოჯახი თუ უბანი.

როგორც ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, ძალადობრივი ქცევა შეიძლება შემცირდეს ან თავიდან იქნას აცილებული, თუ ზემოთ ჩამოთვლილი რისკ-ფაქტორები მნიშვნელოვნად შემცირდება ან აღმოიფხვრება. რაც მთავარია, ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული იქითკენ, რომ შეიცვალოს ბავშვებისადმი დამოკიდებულება, განსაკუთრებით ძალადობრივი გამოვლინებები, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში და მედიაში. რადგან, ძალადობა ძალადობას იწვევს.

ამასთან, შემდეგი სტრატეგიები ძალადობრივ ქცევას ამცირებს ან ხელს უშლის:

- ✓ ბავშვთა ძალადობის პრევენცია (ისეთი პროგრამების გამოყენება, როგორიცაა მშობლების მომზადება, ოჯახის დახმარების პროგრამები და ა.შ.),,
- ✓ მოზარდების აღზრდისა და მშობლების პროგრამები,,
- ✓ აგრესიისა და ძალადობისადმი მიდრეკილი ახალგაზრდების ადრეული იდენტიფიკაციისა და ინტერვენციის პროგრამები,
- ✓ ბავშვის კონტროლი, რომ მან არ ნახოს ინტერნეთით და ტელევიზიით ძალადობის ამსახველი ვიდეოები.

ამრიგად, აგრესიის გამომწვევი მრავალი მიზეზი შეიძლება არსებობდეს, თუმცა, როგორც კრიმინალისადმი მიდრეკილების შემთხვევაში, აქაც უმნიშვნელოვანესია ადამიანებს შორის ურთიერთობები, ვითარება ოჯახსა და საზოგადოებაში.

2.4 არასრულოვანთა დეინდივიდუალიზაცია, როგორც ქურდული მენტალობის ჩამოყალიბების უმთავრესი მიზეზი

ტრემინი დეინდივიდუაცია პირველად 1950-იან წლებში გამოიყენა ამერიკელმა სოციალურმა ფსიქოლოგმა ლეონ ფესტინგერმა. ტერმინი თავის თავში გულისხმობს ინდივიდუალობის დაკარგვას და ქმედების განხორციელებას ისე, რომ მისი ჩამდენი ამოუცნობი რჩება, ქმედების ხასიათიდან ან ჯგუფურობიდან გამომდინარე.

დეინდივიდუცირებულმა სიტუაციამ შეიძლება შეამციროს პასუხისმგებლობა, რადგან ჯგუფში მყოფი ადამიანები ადვილად ვერ ხვდებიან მის საქციელს. ამიტომ დეინდივიდუაციის შედეგები ზოგჯერ განიხილება როგორც სოციალურად არასასურველი.

მე -19 საუკუნის საფრანგეთში, გუსტავ ლე ბონის საქმიანობამ გამოიწვია ხალხის ქცევის პოლიტიკურად მოტივირებული კრიტიკა. იმ დროს, ფრანგული საზოგადოება არასტაბილური იყო, საპროტესტო აქციები და აჯანყებები მუდმივად ხდებოდა.

ლე ბონის ნაშრომმა აღწერა ჯგუფური ქცევა, როგორც ირაციონალური და ბოროტი. ლე ბონმა თვლიდა, რომ ხალხმრავალში ყოფნა საშუალებას აძლევდა ინდივიდებს იმოქმედონ იმპულსებზე, რომლებიც ჩვეულებრივ გაკონტროლებდნენ ან თვითსცენზირებდნენ.

ლე ბონი ამტკიცებდა, რომ ასეთი არასასურველი ქცევა შეიძლება წარმოიშვას სამი მექანიზმის საშუალებით.

პირველ რიგში, ანონიმურობა აფერხებს ადამიანის იდენტიფიკაციას, რაც იწვევს უსაფრთხოდ ყოფნის შეგრძნებას და პიროვნული პასუხისმგებლობის გრძნობის დაკარგვას.

ლე ბონი შემდგომში ამტკიცებდა, რომ კონტროლის ამგვარი დაკარგვა იწვევს კონტიგაციას, რომლის დროსაც პასუხისმგებლობის ნაკლებობა ვრცელდება მთელ ჯგუფში და ყველანი იწყებენ აზროვნებას და მოქმედებას იმავე გზით.

თანამედროვე თეორიებმა გააფართოვეს ადრეული პრინციპები, თუმცა, აღნიშნავენ, რომ როდესაც ადამიანს აქვს შესაძლებლობა დამალოს მისი ჯგუფის წევრებთან ერთად საკუთარი იდენტურობა და დარჩეს ანონიმური მისი ქცევა შედარებით უკონტროლო ხდება.

ლე ბონის შემდეგ, ფესტინგერმა და მისმა კოლეგებმა განაცხადეს, რომ დეინდივიდუალიზაცია (კერძოდ ჯგუფის შიგნით) ამცირებს ქცევის ნორმალურ შეზღუდვას და ხალხს მოუწოდებს გააკეთონ ისეთი რამ, რასაც ჩვეულებრივ არ გააკეთებდნენ, რადგან ისინი პირდაპირ არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ქმედებებზე.

ისინი გარკვეულწილად თავისუფლდებიან, გააკეთონ ის, რაც მოსწონთ. ფესტინგერმა ამ იდეას მხარი დაუჭირა იმის გამოვლენით, რომ კვლევის მონაწილეები, რომლებიც ჯგუფურად მსჯელებდნენ თავიანთი მშობლების შესახებ, ჩაბნელებულ ოთახში ერნაირად შემოსილნი უფრო მეტ უარყოფით კომენტარს აკეთებდნენ საკუთარი მშობლების შესახებ ვიდრე საკონტროლო ჯგუფის მონაწილეები ნათელ ოთახში, სადაც მათი ინდივიდუალიზაცია მარტივი იყო.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დეინდივიდუალიზებული ვითარება პიროვნებას საშუალებას აძლევს იმოქმედოს ისე, როგორც ჩვეულებვრივ ვითარებაში თავს შეიკავებდა.

1960-იან და 70-იან წლებში ამერიკელმა ფსიქოლოგმა ფილიპ ზიმბარდომ გამოიკვლია ცვლადი, რომლებიც იწვევს დეინდივიდუციას .

ზიმბარდოს თანახმად, დეინდივიდუაციის მდგომარეობისკენ მიმავალი ფაქტორები მოიცავს ანონიმურობას; საერთო, დიფუზიური ან მიტოვებული პასუხისმგებლობა; დროებითი პერსპექტივის შეცვლა (ისე, რომ ინდივიდი უფრო აქცენტს აკეთებს აქ და ახლა, ვიდრე წარსულზე ან აწმყოზე); ფიზიოლოგიური აღგზნება; გადატვირთვა, ეცვლილი ცნობიერები მდგომარეობა (მაგალითად, ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მოხმარების შედეგად).

ზიმბარდო ამტკიცებდა, რომ ეს ფაქტორები და სხვები მოქმედებენ, რომ შეამცირონ თვითდაკვირვება და შეფასება, შეამცირონ შეშფოთება სოციალურ შეფასებაზე და შეასუსტონ კონტროლი დანაშაულის გრძნობის საფუძველზე.

ამრიგად, შეფერხებულია ქცევის გამომჟღავნების გამოხატვის ბარიერი, და ეს ქცევა, როგორც წესი, იმპულსურია და ხშირად უარყოფითი და ანტისოციალურიც.

სოციალური იდენტურობის თეორიასა და თვით კატეგორიზაციაზე დაყრდნობით, რიჩერმა და მისმა კოლეგებმა განაცხადეს, რომ ჯგუფის წევრობა ავტომატურად არ ნიშნავს დეინდივიდუალიზაციას.

ინდივიდს აქვს საკუთარი თავის მრავალი დონე. ადამიანი მოიცავს აგრეთვე შესაძლო სოციალური იდენტურობას, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფურ წევრობასთან და თვისებებთან, რომლებიც სხვებს აქვთ გაზიარებული, მაგალითად რასის, სქესის და ასაკის.

თუმცა, როდესაც ადამიანები თავს ჯგუფის ნაწილად გრძნობენ, ისინი ამ ჯგუფის ნორმებს შეესატყვისებიან. ამისათვის, ადამიანებს არ სჭირდებათ ჯგუფთან ფიზიკურად ყოფნა ან რაიმე ფორმით ფიზიკურად აღნიშვნა, როგორც ჯგუფის წევრი. თავის მხრივ, ჯგუფის ნორმების ცოდნა უხელმძღვანელებს ხალხის ქცევას. რიშერი და მისი კოლეგები ამტკიცებდნენ, რომ ამ სოციალური იდენტურობის პრინციპები განსაზღვრავს, თუ როგორ იქცევიან ადამიანები დეინდივიდუცირებულ სიტუაციებში.

რაც შეეხება კონკრეტულად ჩვენს განსახილველ საკითხს, შესაძლებელია, ვივარაუდოთ რომ არასრულოვანთა დეინდივიდუალიზაცია, ნამდვილად არის ქურდული მენტალობის ჩამოყალიბების უმთავრესი მიზეზი, თუმცა ვფიქრობ, რომ მხოლოდ ეს არ კმარა, აუცილებელია მიდრეკილების ქონა კრიმინალისადმი ან სხვა ფაქტორებით დაინტერესება.

თავი 3. ქურდული სამყაროს როლი არასრულწლოვანთა ქცევის ფორმირებაში

3.1 „ძველი ბიჭის“ მენტალიტეტი

მეოცე საუკუნის ბოლოს ქურდული მენტალიტეტი იმდენად იყო გამჯდარი მოზარდ და ახალგაზრდა თაობაში, რომ ძალიან ხშირად ისმოდა ფრაზა ,,ქურდი ვარ''. სწორედ ასეთი მენტალიტეტი აყალიბებს ახალგაზრდებს დამნაშავეებად. იმისათვის, რომ „ძველი ბიჭის“ მენტალიტეტი რომ დამღუპველი არ აღმოჩნდეს ახალგაზრდა თაობისათვის, აუცილებელია, რომ მათ ცნობიერებაზე შესაბამისი დადებითი გავლენები მოახდინოს როგორც სკოლისა და ბაღის მასწავლებლებმა, ასევე ოჯახებმა.

მოზარდზე გავლენის მოხდენა შეუძლია ნებისმიერ ფაქტსა თუ პიროვნებას. იმისათვის, რომ მას მიდრეკილება არ გაუჩნდეს კრიმინალისაკენ აუცილებელია მისი სოციუმის შესაბამისი ქცევა.

მნიშვნელოვანია არასრულწლოვანის სოციუმი, რადგან მათი გავლენა არასრულწლოვანზე ძალიან დიდია, ფაქტიურად მოზარდი იმეორებს იმ ადამიანების ქცევას, რომლებთანაც ურთიერთობა უხდება. ამ ასაკში პიროვნული ღირებულების მნიშვნელობა უფრო იკვეთება, ვიდრე მის წინაშე არსებული საფრთხეები.

ასევე აღსანიშნავი და ძალიან მნიშვნელოვანია არასრულწლოვანის ბიოლოგიური მომწიფების პერიოდი. თუ ამ პერიოდში მოზარდს არ აქვს ოჯახის და საყვარელი ადამიანების მხარდაჭერა, შესაძლებელია, რომ მარტივად მოექცეს „ძველი ბიჭების“ და „კანონიერი ქურდების“გავლენის ქვეშ.

როგორც ფსიქოლოგები ამბობენ ზოგჯერ მოაზარდი ირგებს ,,ძველი ბიჭის'' როლს, სინამდვილეში კი სულ სხვა ადამიანია. ეს დისბალანსი კი ძალიან უარყოფითად აისახება არასრულწლოვანზის ფსიქიკაზე.

ამ ეტაპზე საქართველოში, თაობათა ცვლის ფონზე თითქოს აქტუალობა დაკარგა „ძველი ბიჭის“ მენტალიტეტმა, ყოველდღიურად იცვლება დამკვიდრებული წესები და შეხედულებები და თითქოს გაჯანსაღებისაკენ მიდის, მაგრამ გარკვეულ წრეებში „ძველი ბიჭის“ მენტალიტეტი აქტუალობას არ კარგავს. სწორედ ამიტომ, აუცილებელია რომ საბავშო ბაღისა და სკოლის დონეზე დაინერგოს პროგრამები, რომლებიც მოზარდის სწორ განვითარებას შეუწყობს ხელს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სკოლებში უკვე ტარდება „სამართლებრივი კულტურის“ გაკვეთილება, რაც მოსწავლეებში სამართლებრივი კულტურის ამაღლებას ემსახურება, თუმცა ეს საკმარისი არ არის, რადგან არასრულწლოვანთა დანაშაულის სტატისტიკა ძირეულ პრობლემებზე მიგვითითებს, რის აღმოსაფხვრელადაც აუცილებელია სისტემური სამუშაოს განხორცილება.

3.2 არასრულწლოვანთა დანაშაულის დახასიათება და პრევენციული ღონისძიებები

ნებისმიერი სახელმწიფო რეაგირებს დანაშაულზე და ცდილობს მის პრევენციას, თუმცა როდესაც საქმე არასრულწლოვანთა მიერ განხორციელებეულ დანაშაულს ეხება რეაგირება უფრო ეფექტური დასწრაფი უნდა იყოს, რადგან არასრულწლოვანი სისხლის სამართლებრივი დაცვის მნიშვნელოვანი ობიექტია.

არასრულწლოვანის მიერ დანაშაულის ჩადენა მთლიანად საზოგადოების არასწორ განვითარებაზე მიუთითებს, რაც თავისთავად ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზეც აისახება.

როგორც სხვადასხვა კვლევებით დგინდება, როდესაც არასრულწლოვანი ჩადის დანაშაულს, დიდი ალბათობით შეიძლება იმის მტკიცება, რომ იგი დამნაშავედ და კანონდამრღვევად ჩამოყალიბდება. სწორედ ამას მოწმობს დამნაშავე-რეციდივისტთა ბიოგრაფიები, მათ უმრავლესობას დანაშაულებრივი საქმიანობა ბავშვობის, მოზარდობის ასაკში ჰქონდათ დაწყებული. როგორც წესი ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფის წევრთა უმრავლესობას სწორედ ის პირები შეადგენენ, რომლებიც არასრულწლოვნების ასაკში შემჩნეულნი არიან ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში და საკმაოდ რთული ურთიერთობა აქვთ სამართალდამცავ ორგანოებთან. [23]

საქართველოში უკანასკნელ წლებამდე, ძალიან აქტუალური იყო ქურდული მენტალიტეტი და მისით წაქეზებული არასრულწლოვანების მიერ განხორციელებული დანაშაულებიც. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ქვეყანაში ბრძოლა გამოცხადდა ქურდული სამყაროს წინააღმდეგ, ასევე დაიწია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის განსაზღვრულმა ასაკობრივმა ზღვარმა.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება არასრულწლოვანს, თუ მას უკვე შეუსრულდა 14 წელი. თოთხმეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დადგება.

---

[23] თ.სისაური, არასრულწლოვანთა დანაშაულის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათება, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე, თბილისი 2015, 72-75

გარდა ამისა აღსანიშანავია, რომ საქართველოში სპეციალურად არასრულწლოვან დამნაშავეებთან ურთიერთობის დასარეგულირებლად შექმნილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის შესაბამისადაც ნებისმიერი პირი, რომელსაც ურთიერთობა აქვე არასრულწლოვან ბრალდებულთან, დაზარალებულთან ან მოწმესთან აუცილებლად უნდა იყოს სერტიფიცირებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კუთხით.

არასრულწლოვანმა შეიძლება ჩაიდინოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაული გარდა სამოხელეო დანაშაულისა, შესბამისად საკმაოდ მაღალი და ყოველწლიურად მზარდია არასრულწლოვანთა დანაშაულობის წილი. აღნიშნული ნამდვილად უნდა გახდეს დაფიქრების და შესაბამისი ზომების გადადგმის საფუძველი. აუცილებელია არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი საქმიანობის მიზეზების საფუძვლიანი კვლევა.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისთვის, აუცილებელია ოჯახის, სკოლისა და ზოგადად სახელმწიფოს ერთობლივი მუშაობა. დანაშაულის მოტივები სრულიად განსხვავებულია სრულწლოვან და არასრულწლოვან დამნაშავეთა შორის. ხშირია არასრულწლოვანების მოტივირება, წაქეზება და იძულებაც კი. არასრულწლოვნების ასაკში მოზარდები ძალიან მოწყვლადები არიან. სწორედ ამ ასაკში აუცილებელია მათი კონტროლი, რათა მათ თავს არ მოახვიონ სხვა დაინტერესებულმა პირებმა საკუთარი აზრები და მენტალიტეტი.

არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის მიზნით აუცილებელია აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარება, რაშიც როგორც უკვე აიღნიშნა აუცილებელია სკოლის , სამართალდამცავი ორგანოების და ოჯახის ერთობლივი

მუშაობა. ღონისძიებები არასრულწლოვანს გამოუმუშავებს თვითშეფასების, ასევე კონფლიქტის მოგვარების უნარს [24] და ა.შ.

ამრიგად, არასრულწლოვანთა დანაშაულთან ეფექტური ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი კოორდინებული საქმიანობით.

[24] ძალადობა ოჯახში და მისი გადაჭრის გზები. კატეგორია: გენდერი კავკასიაში. ავტორი: ელა კუსიანი 2012-03-01

თავი 4. ქურდული სამყაროს ზეგავლენის შემცირების პრევენციული ღონისძიებები არასრულწლოვნებთან მიმართებაში

4.1.სახელმწიფოს როლი და ბრძოლა ქურდული კანონების წინააღმდეგ

სახელმწიფოს როლი ქურდული სამყაროს დამარცხებაში და შესაბამისად არასრულწლოვან პირებზე მათი ზემოქმედების შემცირებაში ძალიან დიდია. ამ მიზნით აუცილებელია ქურდულ სამყაროსთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმის შექმნა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლით კანონმდებელი ებრძვის ქურდულ სამყაროს, მის მიერ გამოწვეულ შედეგებს, თუმცა ეს ნაკლებად ეფექტურია, რადგან მუხედავად ბრძოლისა რეალური შედეგები თითქმის არ ჩანს.

საინტერესოა ბრძოლის მიუხედავად, რატომ არის საზოგადოებაში ქურდული მენტალიტეტი პოპულარული, საზოგადოების ნაწილი რატომ მიმართავს ქურდებს საქმის გარჩევის მიზნით და რატომ არ ერიდებიან ქურდებთან ურთიერთობას, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ადამიანი მიეცა ამის გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პრობლემა სახელმწიფოშია, რადგან სწორედ სახელმწიფო ქმნის ქურდული სამყაროს არსებობისათვის კლიმატს.[25]

ამ ნააზრევის საპირისპიროდ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ როდესაც საქართველოში შექმნილი იყო უმძიმესი კრიმინოგენული ვითარება,

[25] ხუხუნაიშვილი ზ., ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი თემიდა, № 4(6), თბილისი, 2010, გვ. 147-148.

საქართველოს იმ დროინდელმა მთავრობამ ბრძოლა გამოუცხადა ქურდებსა და ქურდულ სამყაროს. ამასთან დაკავშირებით 2004 წელს განაცხადა გ.უგულავამ, რომელიც მაშინ იუსტიციის მინისტრის მოადგილის პოსტს იკავებდა. მისი თქმით საქართველოს ახლადარჩეული მთავრობა კომპლექსურ ბრძოლას იწყებდა „კანონიერი ქურდის“ ინსტიტუტთან. [26]

აღნიშნული განცხადების სემდეგ კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით აიკრძალა არა მხოლოდ „კანონიერი ქურდობა“, არამედ „ქურდული სამყაროს“ წევრობაც.

2006 წელს კი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას განაცხადა, რომ აცხადებდა ნულოვან ტოლერატრობას წვრილმანი დანაშაულის მიმართ და აუქმებდა პირობით სასჯელს ნარკოტიკების შენახვაზე, ბინის ძარცვაზე და სხვა მსგავს დანაშაულებზე.[27]

პრეზიდენტის აღნიშულ გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო ამერიკელი სოციოლოგების ჯორჯ კელინგმას და ჯეიმს ვილსონის თეორია სახელწოდებით „Broken Windows“.[28] თეორიის ავტორების აზრით, დანაშაულის აღსაკვეთად აუცილებლად უნდა გაიზარდოს დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი და შესაბამისად უნდა მოხდეს დამნაშავეთა დასჯა. სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს გარემოს შექმნა სადაც მოსახლეობა და ვიზიტორები თავს დაცულად იგრნობენ. ამასთანავე ადამიანებს უნდა სჯეროდეთ იმ ნორმათა სისტემის რომელიც მოქმედებს ქვეყანაში.[29] აღსანიშნავია, რომ თეორიაზე დაყრდნობით ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ვიდრე საქართველოში განხორციელდებოდა, დაინერგა ნიუ იურკში და საკმაოდ

---

[26] იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიგი უგულავას განცხადება 2004 წლის თებერვალი
[27] საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიური ანგარიში პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე, 2006 წლის 14 თებერვალი, გვ.26.
[28] Wilson, J. Q./Kelling, G.I., 1996. S. 121-137
[29] მორის შალიკაშვილი, „არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები“, თბ., 2013 წელი, გვ.22

წარმატებულადაც. თუმცა იქაც იყო ერთი პრობლემა, მოქალაქეები ხშირად ჩიოდნენ პოლიციელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების თაობაზე.[30]

საქართველოში ნულოვანი ტოლერანტობის გამოცხადების შემდეგ, ნებისმიერი მსუბუქი დანაშაულისთვისაც კი ყველას ციხეში უშვებდნენ, რის სედეგადაც ქვეყანაში მინიმუმანდე შემცირდა დამნაშავეთა და სესაბამისად დანაშაულთა ოდენობა. საზოგადოებაში აღმოიფხვრა აქამდე არსებული დაუსჯელობის სინდრომი".[31]

ნულოვანი ტოლერანტობის დანერგვის შემდეგ საქართველოში თითქმის მთლიანად აღიკვეთა როგორც ორგანიზებული დანაშაული, მათ შორის ქურდული სამყარო, ისე წვრილმანი დანაშაული. გაიზარდა ნდობა სამართალდამცავი უწყებების მიმართ და საქართველო გახდა ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა.

ზემოთ აღნიშნულს მოწმობს 2010 წელს განხორციელებული „დანაშაულებათა კვლევა საქართველოში". კვლევის მიხედვით მოსახლეობის 72% -ი დანაშაულის დონის კლებას აფიქსირებდა, 16% -ის აზრით კრიმინოგენური ვითარება გაუარესებული იყო. 7%–ი კი ცვლილებებს ვერ ამჩნევდა.[32] აღნიშული 72 - %-ი საკმაოდ დიდი ციფრია.

გარდა ორგანიზებული დანაშაულისა, ასევე შემცირდა კორუფციული დანაშაულიც. მაგრამ გარდა დადებითი შედეგებისა, ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას უარყოფითი შედეგებიც ჰქონდა, რომელთაგან აღსანიშნავია:

- მსჯავრდებულთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა.

---

[30] მორის შალიკაშვილი, „არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები", თბ., 2013 წელი, გვ.23

[31] „ნულოვანი ტოლერანტობიდან ლიბერალიზაციისაკენ". ციხის საერთაშორისო რეფორმა. თბ., 2011წელი. გვ.3

[32]„დანაშაულთა კვლევა საქართველოში", კვლევა ჩატარდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივითა და ევროკავშირის დაფინანსებით, კვლევის ტექნიკური ნაწილი განახორციელა კომპანია „გორბი"–მ. საბოლოო ანალიზი მოამზადეს ვიქტიმილოგიისა და ადამიანის უსაფრთხოების პროფესორმა – იან ვან დაიკმა, და კრიმინოლოგიის პროფესორმა გიორგი ღლონტმა

- მსჯავრდებულთა სიკვდილიანობის ზრდა,
- ციხის პირობების გაუარესება,
- მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის პრობლემების გაუარესება,
- მსჯავრდებულთა უფლებების სისტემატიური დარღვევა“.[33]
- პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ნულოვან ტოლერანტობას ჰქონდა როგორც დადებითი ისე უარყოფითი შედეგები, ფაქტია რომ მკვეთრად შემცირდა ორგანიზებული დანაშაული ქვეყანაში, ამასთანავე საქართველო თითქმის მთლიანად გაიწმინდა კრიმინალური ავტორიტეტების გავლენებისგან.

აღასნიშნავია, რომ თავისი მაშტაბებიდან გამომდინარე ორგანიზებული დანაშაულის ყველაზე სახიფათო ფორმად „ქურდული სამყარო“ მიიჩნევა, რადგან ის მხოლოდ ერთი კონკრეტული დანაშაულით არ შემოიფარგლება.

ზემოთ უკვე აიღნიშნა, რომ 2005–2006 წლებში სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებებით დასჯადი გახდა „კანონიერი ქურდობა“ და „ქურდული სამყაროს“ წევრობაც. კანონის საფუძველზე „ქურდულ სამყაროში“ ჩაბმული პირების დიდი ნაწილი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იქნა მოთავსებული, ნაწილმა კი ქვეყანა დატოვა.

სისხლის სამაღლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების პარალელურად მიღებულ იქნა კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“, რომლის საფუძველზეც ქურდული სამყაროს წევრებს ჩამოერთვათ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება და გადაეცა სახელმწიფოს.

როგორც აღინიშნა ქურდული სამყაროს წევტღა უმეტესობა ციხეში იქნა მოთავსებული, სესაბამისად მრავლად არის ამ საკითხზე მიღებული

[33] მორის შალიკაშვილი, „არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები“, თბ., 2013 წელი, გვ.25

გადაწყვეტილებებიც, ნ=მაგალითად ერთ ერთ საქმეზე მოსამართლე განმარტავს ქურდული სამყაროს წევრის მნიშვნელობას და აცხადებს, რომ: ბრალდებული არის ქურდული სამყაროს წევრი, აღიარებს ქურდული სამყაროს პრინციპებსა და აქტიურობს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად, მოქმედებს ქურდული სამყაროს მიერ დადგენილი წესებით. იგი აქტიურად არჩევდა ქურდულად სადავო საკითხებს და მოქმედებდა ქურდული წესების შესაბამისად, რომლის მიზანიც იყო დაშინება, მუქარა, იძულება და ქურდული გარჩევების გზით ფინანსური სარგებლის მიღება. ასევე, მონაწილეობდა „საერთოს“ ანუ „ობშიაკის“ შეგროვებასა და განაწილებაში. პროპაგანდას უწევდა ქურდულ იდეოლოგიას. ამასთანავე მსჯავრდებული არის რა ქურდული სამყაროს წევრი, აქვს ურთიერთობები და სატელეფონო საუბრები ქურდული სამყაროს სხვა წარმომადგენლებთან, მათთან ერთად არჩევდა ქურდულად საქმეებს და როგორც ქურდულ სამყაროში ავტორიტეტულ პიროვნებას, ქურდული სამყაროს სხვა წევრები რჩევებსაც ეკითხებოდნენ, მოქმედებდნენ თუ არა ისინი ქურდული სამყაროს მიერ დადგენილი წესებით.[34]

ასევე, საინტერესოა გადაწყვეტილება რომლითაც პირის ბრალი დაედო კანონიერ ქურდობაში, რაც გამოიხატა შემდეგში: ბრალდებული 2012 წელს აღიარეს კანონიერ ქურდად. იგი ცნობს და აღიარებს ქურდულ სამყაროს, ეთანხმება მის მიზნებს, თავისი ცხოვრების წესით საჯაროდ გამოხატავს ქურდული სამყაროს მხარდაჭერას. მას ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიური ურთიერთობა აქვს ქურდული სამყაროს წევრებთან. იგი ასევე აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად, მონაწილეობს ქურდულ გარჩევებსა და სპეციალური წესების შემუშავებაში ქურდული სამყაროსთვის სარგებლის მიღების მიზნით. 2017 წლის 12 ივლისს ვ. ხ. დააკავეს საქართველოს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

[34] საქმის ნომერი - 2კ-722აპ., 19 თარიღი 09/03/2020.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 7 ნოემბრის განაჩენით ვ. ხ., - დაბადებული 19-- წელს, - ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 2231-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

გაუქმდა ვ.ხ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - გირაო და გირაოს სახით გადახდილი თანხა სრულად უნდა დაუბრუნდეს მის შემტან პირს.

გამართლებულ ვ. ხ-ს განემარტა, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 7 ნოემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორმა ვაჟა თოდუამ, რომელმაც მოითხოვა გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილია მტკიცებულებათა ერთობლიობა, კერძოდ, მოწმეების - გ. შ-ს, მ. ბ-ს, ი. თ-ს ჩვენებები და რუსული ვებგვერდის დათვალიერების ოქმი, სადაც რუსულ ენაზე მითითებულია კანონიერი ქურდები, თავიანთი ქურდული ზედმეტსახელებით, მონათვლის თარიღითა და სასჯელის მოხდის წლებით, რაც საკმარისია გამართლებულ ვ. ხ-ს დამნაშავედ ცნობისათვის.

აპელანტმა ასევე ითხოვა გირაოს სახით შეტანილი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დაბრუნება, რადგან გამართლებულმა დაარღვია გირაოს პირობები და არ შეასრულა ვალდებულება - პენიტენციური დაწესებულებიდან განთავისუფლებისთანავე ჩაებარებინა საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 4 მაისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 7 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 4 მაისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორმა ვაჟა თოდუამ. კასატორი ითხოვს გასაჩივრებული გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და ვ. ხ-ს დამნაშავედ ცნობას წარდგენილ ბრალდებაში და ასევე - გირაოს სახით შეტანილი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დაბრუნებას სააპელაციო საჩივარში მითითებული საფუძვლებით.

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორ ვაჟა თოდუას საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მოტივაციას ვ. ხ-ს საქართველოს სსკ-ის 2231-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნობის შესახებ, კერძოდ:

„ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, კანონიერი ქურდი არის ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც, ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად, ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს ქურდული სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს. ამდენად, კანონიერი ქურდის ობიექტური მხარე გამოიხატება ქურდული სამყაროს ან სხვა პირთა გარკვეული ჯგუფის მართვაში ან ორგანიზებაში ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად, ნებისმიერ ფორმით. ქურდული სამყაროს ორგანიზება კი ნიშნავს პირთა ერთობის ჩამოყალიბებას, კერძოდ, წევრების გამოძებნასა და გადმობირებას, სპეციალური წესების დადგენას, ან სხვის მიერ

დადგენილი წესების აღიარებას, მათ გაცნობას ქურდული სამყაროს წევრებისათვის, მათგან პირობის მიღებას, რომ დაემორჩილებიან ამ წესებს, ასევე სამოქმედო გეგმის შემუშავებას და ა. შ. რაც შეეხება ქურდული სამყაროს მართვას, იგი გამოიხატება ცალკეული დავალების მიცემაში ამ სამყაროს წევრებისათვის, კონკრეტული დანაშაულის ხელმძღვანელობაში და ა. შ., კანონიერმა ქურდმა შეიძლება მართოს არა მარტო ქურდული სამყარო, არამედ პირთა გარკვეული სხვა ჯგუფებიც, რომლებსაც არ უღიარებიათ ქურდული სამყარო და არც მისი წევრები არიან, მაგრამ შეიძლება, საშველად მიმართეს კანონიერ ქურდს ან კანონიერ ქურდი იძულებისა და მუქარის გამოყენებით ახერხებს მათ მართვას.

შესაბამისად, იმისათვის, რომ კანონიერი ქურდობისათვის დადგეს პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, უნდა დადგინდეს, რომ პირი მოქმედებდა (მართავდა ან/და ორგანიზებას უწევდა პირთა წრეს) სწორედ ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას: მხოლოდ ის ფაქტი, რომ ვ. ხ., ოპერატიული და ინტერნეტვებგვერდზე მითითებული ინფორმაციის თანახმად, მიჩნეულია კანონიერ ქურდად, არ არის საკმარისი აღნიშნული მუხლით პირის მსჯავრდებისათვის. კანონის მიხედვით, აუცილებელია, პირს დაუმტკიცდეს კონკრეტულ მოქმედებების განხორციელება - პირთა გარკვეული წრის მართვა ან/და ორგანიზება, რაც სათანადო მტკიცებასაც საჭიროებს. განსახილველ შემთხვევაში ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები ვ. ხ-ს მიერ ქურდული სამყაროს ან პირთა გარკვეული ჯგუფის მართვის ან/და ორგანიზების შესახებ, ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად. მოწმეების - გ. შ-ს, მ. ბ-ს, ი. თ-ს ჩვენებებით დასტურდება მხოლოდ ის ფაქტი, რომ მათ გააჩნიათ ოპერატიული ინფორმაცია ვ. ხ-ს კანონიერი ქურდობის შესახებ, მაგრამ ინფორმაცია მის მიერ რაიმე კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის თაობაზე, რაც

დაადასტურებდა ამ პირის ქურდული სამყაროს წევრობას ან/და მის კანონიერ ქურდობას, არ აქვთ. რაც შეეხება ბრალდების მხარის მითითებას ინტერნეტგვერდ --- დათვალიერების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე, ვერც აღნიშნული შეიძლება ჩაითვალოს ვ. ხ-ს ბრალდების დამადასტურებელ მტკიცებულებად, ვინაიდან უცნობია რა წყაროებს ეყრდნობა იგი, რაც საეჭვოს ხდის მის სანდოობასა და ავთენტიკურობას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე მტკიცებულებითი სტანდარტი ვალდებულებას აკისრებს სასამართლოს, რომ სათანადოდ შეაფასოს მტკიცებულებები, სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული წინააღმდეგობები და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადაწყვიტოს ბრალდებულის უდანაშაულობის, მისი თავისუფლების სასარგებლოდ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). განაჩენი უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა თავისუფალ შეფასებას, დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან. მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან (იხ. ,,ელ მასრი მაკედონიის წინააღმდეგ" [35] და ,,ჰასანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ"[36].

---

[35]ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება El Masri v The Former Yugoslav Republic of Macedonia №39630/09.

[36] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება - Hassan v The UK) №29750/09.

ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 4 მაისის განაჩენი ვ. ხ-ს უდანაშაულოდ ცნობის ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს, ხოლო გირაოს ნაწილში განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგი საფუძვლებით:

საკასაციო საჩივრით პროკურორი აგრეთვე ითხოვს ვ. ხ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული და შეტანილი გირაოს საკითხის გადაწყვეტის ნაწილში გირაოს თანხის - 15 000 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვას იმ საფუძვლით, რომ ვ. ხ-მ დაარღვია ამ ღონისძიების პირობები, რასაც საკასაციო პალატაც იზიარებს, კერძოდ:

წარმოდგენილი საქმის მასალებით დადგენილია, რომ ვ. ხ-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის განჩინებით შეეფარდა გირაო - 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი, საპატიმრო უზრუნველყოფით. მასვე იმავე განჩინებით პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ საქართველოს სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დაეკისრა გამომძიებლისათვის პიროვნების მაიდენტიფიცირებელი ყველა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება. იმავე წლის --- ბრალდებულმა გადაიხადა გირაოს თანხა და გათავისუფლდა პატიმრობიდან, თუმცა, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მან არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და არ ჩააბარა ზემომითითებული დოკუმენტაცია, რის შემდეგაც ჯერ 2--- წლის -- --- თ-ს რესპუბლიკის (უკან დაბრუნდა 2-- წლის -- ---), ხოლო მოგვიანებით - იმავე წლის -- -- - ა-ს რესპუბლიკის მიმართულებით გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით ვ. ხ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - გირაო, შეიცვალა პატიმრობით, ხოლო პროკურორის 2017 წლის 19 ივლისის დადგენილებით გამოცხადდა მისი ძებნა.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილების შესაბამისად, გირაოს შეტანის წინ როგორც ვ. ხ., ისე უშუალოდ მისი შემტანი (განსახილველ შემთხვევაში - მ. ხ.) გაფრთხილებულები იყვნენ წერილობითი ვალდებულებით, ბრალდებულ ვ. ხ-ს მიერ გირაოს პირობების დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგის თაობაზე. მიუხედავად ამისა, ვ. ხ-მ არ შეასრულა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის განჩინებით დაკისრებული ვალდებულება, არ ჩააბარა მისი პიროვნების მაიდენტიფიცირებელი ყველა დოკუმენტი და გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, რითაც დაარღვია მითითებული ღონისძიების გამოყენების პირობა, რაც, თავის მხრივ, საქართველოს სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, წარმოადგენს - გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის საფუძველს.

ამასთანავე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2018 წლის 4 მაისის განაჩენით გააუქმა ვ. ხ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - გირაო, რაც არასწორია, ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 18 ივლისის განჩინებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის განჩინება გირაოს გამოყენების შესახებ და დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა ვ. ხ-სათვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე. შესაბამისად, ვ. ხ-ს მიმართ უნდა გაუქმდეს არა გირაო, არამედ - პატიმრობა, ხოლო გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა - 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 4 მაისის განაჩენი უნდა შეიცვალოს აღკვეთის ღონისძიების ნაწილში.[37]

---

[37] საქართველოს უზენაესი სასამართლო განაჩენი, საქმე №372აპ-18, 30 ნოემბერი, 2018 წელი

4.2 ანტიქურდული კანონმდებლობის დახვეწა

ზემოთ უკვე აიღნიშნა, რომ საქართველოში ანტიკურდული კანონმდებლობის დახვეწა უკვე 2003 წლის ბოლოდან დაიწყო, თუმცა აქტიური ცვლილებები დაიწყო ვარდების რევორუციით ხელისუფლებაში მოსული მთავრობის მიერ, 2004-2006 წლებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქურდული სამყაროს წინააღმდეგ.

თუმცა 2012 წელს ხელისუფლებაში მოსული ქართული ოცნების სახელისუფლებო ძალა მთლიანად დაუპირისპირდა ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპს და კანონმდებლობის ლიბერალიზაცია დაიწყო. ასევე აღსანიშნავია ქართული ოცნების საარჩევნო დაპირებები, რომელიც შეიცავდა საკმაოდ გრძელ ჩამონათვალს იმისას, თუ როგორ უნდა მოეხდინათ კანონმდებლობის ლიბერალიზაცია.[38]

ლიბერალიზაცია ზოგადი მიდგომით იმას ნიშნავს, რომ ადამიანი თავისუფალია თავის არჩევანში და სახელმწიფოს ამ თავისუფლების შეზღუდვა არ შეუძლია, თუმცა თანამედროვე ავტორები საკმაოდ მართებულად ფიქრობენ, რომ ლიბერალიზაცია უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ თავისუფლების არამედ პასუხისმგებლობის ჭრილშიც.[39]

---

[38] ამონარიდები პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამიდან

[39] ავტორთა კოლექტივი (გ. დაჭყებია, ნ.თოდუა, მ.ლეკვეიშვილი, მ.ივანიძე, თ.ცქიტიშვილი, ქ.მჭედლიშვილი–ჰედრიხი). „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის

საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ დაპირებების შესასრულებლად მართლაც გადადგა ნაბიჯები. შემუშავდა სტრატეგია, სტრატეგიის შესაბამისად სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის მთვარი მიზანი სისხლის სამართლის ლიბერალიზაცია და ამასთანავე მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაა.[40]

აღნიშნული პოლიტიკის და სტრატეგიის მთავარ მიღწევად შეიძლება მივიჩნიოთ არასრულწლოვანთა მართმსაჯულების კოდექსი და რამდენიმე დანაშაულის დეკრიმინალიზაცია.

დეკრიმინალიზაციის პარალელურად განხორციელდა სასჯელთა ლიბერალიზაციაც, ასევე შემოტანილ იქნა შინაპატიმრობის ინსტიტუტი.

რაც შეეხება განსახილველ საკითხს, აღსანიშნავია, რომ ლიბერალიზაცია არ შეხებია სსკ- ის 223[1] მუხლს. მაგრამ, მიუხედავად აღნინიშნულისა, ლიბერალიზაცია მაინც შეეხო იმ პირებს ვინც ბრალდებული იყო აღნიშნული მუხლით, კერძოდ თუ 2012 წლამდე არსებული ხელისუფლების პირობებში თითქმის ყველა საქმეზე, რომელიც განიხილებოდა 223[1] მუხლით, ბრალდებულს მიესაჯა პატიმრობა, ახალი ხელისუფლების მოხვლის პირველ წლებში კი იმატა იმ ბრალდებულების რაოდენობამ, რომლებმაც თავიდან აირიდეს სასჯელი.

ერთი შეხედვით სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაცია დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ „კანონიერი ქურდებისა“ და ორგანიზებული დანაშაულისაგან თითქმის მთლიანად გაწმენდილი ქვეყანა კვლავ მათ წინაშე

ტენდენციები საქართველოში; გამომცემლობა „მერიდიანი“; თბ.2016 წ., გვ.13 https://tsu.ge/science/?leng=ge&lcat=jurnal&jnomeri=7&tid=11

[40] სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო, საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგია. 2013–2017წწ. გვ.3

აღმოჩნდა, აღნიშნულს მოწმობს გაზრდილი კრიმინალი და ქურდული მენტალიტეტის კვლავ წამოწევა.

თითქოს ხელისუფლებამ გაიაზრა, რომ გაზრდილი კრიმინალი გარკვეულწილად სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციას უკავშირდება, ამიტომ 2018 წელს შესული ცვლილებებით გაიზარდა სასჯელის ვადები „ქურდული სამყაროს“ წევრობისათვის. ასევე შემოვიდა ახალი ცნება - ქურდული სამყაროს პასიური წევრი, რაც „ქურდული სამყაროს“ მხარდაჭერას გულისხმობს. გარდა ამისა, „კანონიერი ქურდისათვის“ მიმართვა დამთავრებულ დანაშაულად შეირაცხა.

გარდა კანონმდებლობის განკაცრებისა, რა თქმა უნდა გამკაცრდა ძალოვანი ორგანოების პოლიტიკაც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც აუცილებელია უფრო მეტი მობილიზება და კანონმდებლობის ზუსტი დაცვა, ასევე კოორდინეირებული მოქმედება.

4.3 არასრულოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა

არასრულწლოვანი დაცვის განსაკუთრებული ობიექტია, შესაბამისად მასთან სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთობისას აუცილებელია სპეციალური მიდგომები.

საქართველოს კანონმდებლობით არასრულწლოვანია პირი, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია 18 წლის ასაკისთვის. საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, არასრულწლოვანის შემდეგ განმარტებას იძლევა: „არასრულწლოვანი – 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი დაზარალებული, არასრულწლოვანი მოწმე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მიზნებისათვის არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 16 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის – პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.“ [41]

როგორც აიღნიშნა, არასრულწლოვანი განსაკუთრებული დაცვის ობიექტია, რადგან მისი ფსიქიკა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, ის რაც ზრდასრულისათვის უმნიშვნელოა არასრულწლოვანის ფსიქიკაზე ძალიან უარყოფითად შეიძლება აისახოს.

ამასთანავე გასათვალისწინებელია არასრულწლოვანის პირადი მახასიათებლები, როგორიცაა მისი გენეტიკა, სქესი, ზოგადი განვითარების დონე და სხვა. ასევე მნიშვნელოვანია არასრულწლოვანის ოჯახი და ზოგადი გარემო სადაც ბავშვს უწევს ცხოვრება.

ამ და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზე დაყრდნობით განხორციელდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა და შეიქმნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მისი შექმნა საკმაოდ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს, რადგან კანონში გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა მახასიათებლები და შესაბამისად დაცულია მათი უფლებები და თავისუფლებები.

არასრულწლოვანზე მორგებულ მართლმსაჯულებას განმარტავს ევროპის საბჭო, განმარტების შესაბამისად „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება ნიშნავს მართლმსაჯულებას, რომელიც არის:

- ხელმისაწვდომი,

[41] საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი , 12/06/2015.

- ასაკთან შესაბამისი,
- სწრაფი,
- თანმიმდევრული,
- ბავშვის უფლებებსა და საჭიროებებზე მორგებული.

არასრულწლოვანზე მორგებული მართლმსაჯულება უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას სამართლიანი სასამართლო პროცესის, სასამართლო პროცესში მონაწილეობის და ინფორმირების, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პატივისა და ღირსების პატივისცემის შესახებ. "[42]

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არასრულწლოვანებზე მორგებული მართლმსაჯულების განვითარება ქურდულ სამყაროსთან ბრძოლის პარალელურად მინდინარეობდა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ კანონის მიზანი იყო შემდეგი ფასეულობების დამკვიდრება:

- არასრულწლოვნების ინტერესების დაცვა,
- თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული ფორმების გამოყენება,
- განრიდების პროგრამაში ჩართვა,
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მონაწილე პროფესიონალების სავალდებულო სპეციალიზაცია,
- ყველა კონკრეტულ შემთხვევასი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება.[43]

---

[42] ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ,
განმარტებები, გვ. 17.
[43] გაეროს ბავშვთა ფონდი 2017, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება კანონმდებლობის კვლევა - https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf

რაც შეეხება კონკრეტულად საქართველოს კანონს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, მის მიზნებად ასევე განისაზღვრა არასრულწლოვნის:

- ინტერესების დაცვა,
- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია,
- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რეაბილიტაცია,
- დაზარალებულის უფლებების დაცვა,
- მოწმის უფლებების დაცვა,
- მეორეული ვიქტიმიზაციისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვაა“.[44]

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, ნამდვილად უნდა ჩაითვალოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად.

გარდა ამისა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გვთავაზობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგადი პრინციპებს, რომელთაგან აღსანიშნავია:

- არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა - რაც იმას გულისხმობს, რომ როდესაც არასრულწლოვანი ხდება სისხლის სამართლის პროცესისი მონაწილე, ნებისმიერი ფორმით, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მისი საუკეთესო ინტერესები.

- დისკრიმინაციის აკრძალვა - აკრძალულია არასრულწლოვანის დისკრიმინაცია რაიმე ფორმით.

[44] საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.

- არასრულწლოვნის ჰარმონიული განვითარების უფლება - რაც გულისხმობს მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების უფლებას.

- თანაზომიერება - არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზომა თანაზომიერი უნდა იყოს და მის პიროვნებასთან, ასაკთან, საგანმანათლებლო, სოციალურ და სხვა საჭიროებებთან.

- ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომის პრიორიტეტულობა.

- პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება.

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობა.

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურების დაუშვებლობა.

- არასრულწლოვნის ნასამართლობა - არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე.

- არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა - არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა უზრუნველყოფილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა - რაც გულისხმობს არასრულწლოვანის პირადი მახასიათებლების გათვალისწინებას, კერძოდ:

- ასაკი,

- განვითარების დონე,

- ცხოვრების პირობები,
- აღზრდის პირობები,
- განვითარების პირობები,
- განათლება,
- ჯანმრთელობის მდგომარეობა,
- ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

არასრულწლოვნის საპროცესო უფლებები - სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი ბრალდებული /მსჯავრდებული/ გამართლებული და დაზარალებული უზრუნველყოფილი არიან უფასო იურიდიული დახმარებით. სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი სარგებლობს აგრეთვე შემდეგი უფლებებით:[45]

- მისი განვითარების შესატყვისი ფორმით ინფორმაციის მიღების უფლებით;
- თარჯიმნის მომსახურების უფასოდ მიღების უფლებით – მისი მიღების საჭიროების შემთხვევაში;
- კანონიერი წარმომადგენლის ან საპროცესო წარმომადგენლის თანხლების უფლებით;
- საკონსულო დახმარების მიღების უფლებით;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

[45] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.

როგორც ვხედავთ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი სრულყოფილად განიხილავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ პრინციპებს, სულ სხვა საკითხია მათი განხორციელება პრაქტიკაში, რადგან ზოგჯერ ძალიან უხეშად ირღვევა არასრულწლოვანთა უფლებები როგორც სამართალდამცავ ორგანოების მიერ ასევე სასამართლოშიც.

არასრულწლოვანის პირველ კონტაქტს სამართალდამცავ ორგანოებთან ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკაში. სწორედ პირველი შეხვედრა განაპირობებს არასრულწლოვანის სურვილს ითანამშრომლოს ან არ ითანამშრომლოს სამათალდამცავ ორგანოებთან.

იმ შემთხვევაში თუ მოზარდის მიმართ გამოყენებული იქნება ფსიქიკური ან ფიზიკური ძალადობა, დაცინვა, აბუჩად აგდება და ა.შ არასრულწლოვანს აღარ ექნება სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის სურვილი. ამასთანავე, მოზარდი მთლიანად დაკარგავს სახელმწიფო ორგანოებისადმი რწმენას და ეს მის მთელ ცხოვრებაზე უარყოფითად აისახება. ხოლო თუ არასრულწლოვანთან მომუშვე პროკურორი, გამომძიებელი ან პოლიციელი არასრულწლოვანთან დამოკიდებულებაში იქნება თავაზიანი და გაითვალისწინებს მის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, მოწმისა და დაზარალებულისაგან მიიღებს უფრო მეტ ინფორმაციას, რაც თავისთავად აისახება საქმის შედეგზე.

მოსამართლის და ზოგადად სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების პროფესიონალიზმი არასრულწლოვანთა საქმეებზე, პედაგოგიური უნარ-ჩვევების გარდა დამოკიდებულია მის გამოცდილებაზე, პრაქტიკაზე და დაკვირვების უნარზე.[46]

ვფიქრობ, რომ არასრულწლოვანის მიმართ განსაკუთრებით ხშირად ირღვევა მისი დაკითხვის პროცესში კანონიერი და საპროცესო წარმომადგენელის დასწრების

[46] Diemer, H./ Schoreit, A./ Sonnen, B-R., 2008. S. 373.

უფლება. წარმომადგენლების დასწრება არასრულწლოვანის სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის დროს ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ხშირად კანონიერმა ზარმომადგენლებმა საკუთარი უფლებების სესახებ არც იციან და მხოლოდ იმიტომ ესწრებიან რომ კანონი მოითხოვს ამას, ანუ მათი როლი უმნიშვნელოა და ხშირ სემთხვევაში არასრულწლოვანს საერთოდ ვერ ეხმარებიან.

კანონიერი წარმომადგენლი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით ასეა განმარტებული: „კანონიერი წარმომადგენელი არის არასრულწლოვნის ახლო ნათესავი, მხარდამჭერი, მეურვე, მზრუნველი, რომელიც არასრულწლოვნის ინტერესების დასაცავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს და სარგებლობს არასრულწლოვნის უფლებებით, გარდა იმ უფლებებისა, რომლებითაც, თვით ამ უფლებების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანმა ისარგებლოს.“ [47]

საპროცესო წარმომადგენელი კი ეს არის „მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის მიერ დანიშნული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელი ან სხვა სანდო პირი, რომელიც ამ კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას არასრულწლოვნის სახელით და მისი საუკეთესო ინტერესების დასაცავად. საპროცესო წარმომადგენელი სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლებითაც კანონიერი წარმომადგენელი.“ [48]

როდესაც საქმე ეხება არასრულწლოვანის ნებისმიერ კავშირს სამართალდამცავ სტრუქტურებთან, აუცილებელია რომ ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს მის მშობლებს ან მეურვეს.

---

[47] მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე , არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016,180.

[48] მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე , არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016,180.

შესაბამისად, არასრულწლოვანის მშობლებს ან მეურვეს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღოს პროცესში და იყოს თავისი არასრულწლოვანი შვილის გვერდით. იმ შემთხვევაში კი თუ ვერ ხერხდება კანონიერი წარმომადგენლის საქმეში ჩართვა, მაშინ სამართალდამცავი ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმეში ერთვება საპროცესო წარმომადგენელი.

როგორც ამ დრომდე განხორციელებულ კვლევებით ირკვეევა კანონიერ და საპროცესო წარმომადგენელთა დიდ ნაწილს არ აქვთ ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ. სწორედ ამიტომაა, რომ ისინი ვერ ახერხებენ არასრულწლოვანის დაცვას, უფრო მეტიც თავად ხდებიან დასაცავნი და უხეში მოპყრობის მსხვერპლნი.

აქედან გამომდინარე უმნიშვნელოვანესია, როგორც კანონიერი ასევე საპროცესო წარმომადგენლობის კუთხით საგანმანათლებლო, საინფორმაციო კამპანიის წარმოება. რათა მათ სათანადოდ განახორციელონ საკუთარი უფლებები და დაიცვან არასრულწლოვანი.

ამრიგად, თუ ბავშვების დაცვა ვერ ხერხდება „ქურდული სამყაროს“ ზეგავლენისაგან და ისინი ერთვებიან კანონდამრღვევ საქმიანობაში კანონმდებელმა აუცილებლად უნდა შეძლოს და დაიცვას ისინი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან უკანონო მოქმედებებისაგან.

დასკვნა

ქურდული სამყაროს ზეგავლენა არასრულწლოვანთა ქცევის ფორმირების პროცესში ძალიან დიდია, რადგან კვლევისას დადგინდა რომ არასრულწლოვანზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლია ნებისმიერ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტორსაც კი. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვან ზეგავლენათა შორის შეიძლება გამოვყოთ ბიოლოგიური რისკის ფაქტორები. ტვინში არსებულმა ქიმიურმა პროცესებმა შეიძლება ადამიანში განავითაროს ისეთი სურვილები და მოთხოვნილებები, რაც სხვა ადამიანისათვის მიუღებელი და დასაგმობია. თუმცა, ბიოლოგიური ფაქტორებით შესაძლებელია მხოლოდ ვარაუდი იმისა, რომ ადამიანს ექნება კრიმინალური მიდრეკილებები ანუ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი აუცილებლად ჩაიდენს დანაშაულს.

ბავშვობის ასაკში მიღებული არასასურველი გამოცდილება, ადამიანზე ზეგავლენის მოხდენა პირველ რიგში ოჯახში ხდება. ცუდ ოჯახურ პირობებში გაზრდილ ბავშვებს კრიმინალური ქცევის ზრდა აქვთ, როგორც არასრულწლოვანთა, ასევე ზრდასრულ წლებში.

ნეგატიურ სოციალური გარემოს უდიდესი როლი აქვს არასრულწლოვანზე. იმ საზოგადოებამ, სოციუმმა (სადაც განსახილველი საკითხიდან გამომდინარე შეიძლება „ქურდული სამყაროც“ ვიგულისხმოთ,) შეიძლება წარუშლელი კვალი დატოვოს ადამიანზე. თუ ადამიანი იზრდება გარემოში სადაც დანაშაულის ჩადენა ჩვეულებრივი მოვლენაა, არსებობს დიდი შანსი, რომ ასეთი ადამიანი მომავალში აუცილებლად ჩაიდენს დანაშაულს. თუმცა, კრიმინალების საზოგადოებაში ყოფნა არ არის ერთადერთი გზა, რასაც ჩვენს გარემოზე გავლენის მოახდენა შეუძლია. სხვადასხვა კვლევები ცხადყოფს, სიღარიბეში ცხოვრება ასევე ზრდის პატიმრობაში ყოფნის ალბათობას. დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ წინაპირობად ასევე განიხილავენ ნივთიერების ბოროტად გამოყენებას, თუმცა დანაშაულთა უმრავლესობას, განსაკუთრებით ორგანიზებულ დანაშაულს საღ გონებაზე მყოფი ადამიანები ანხორციელებენ.

გარდა ამისა, არსებობს არსებობს უამრავი გზა, რის შედეგადაც ადამიანი შეიძლება გახდეს კრიმინალი, თუმცა ძირითადი განნმსაზღვრელი ფაქტორი მაინც ბავშობის გამოცდილებაა, როგორც ოჯახში, ასევე იმ საზოგადოებაში სადაც არასრულწლოვანი იზრდება.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქურდული სამყაროს ზეგავლენა არასრულწლოვანთა ქცევის ფორმირების პროცესში ძალიან დიდია.

ბიბლიოგრაფია

1. ხუხუნაიშვილი ზ., ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი თემიდა, № 4(6), თბილისი, 2010.

2. ლობჟანიძე გ., ღლონტი გ., კანონიერი ქურდები საქართველოში: ისტორია და რეალობა, თბილისი, 2004.

3. მესხიშვილი დ., ორგანიზებული დანაშაული, თბილისი, 2012.

4. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, გ. ნაჭყებიას რედაქტორობით, თბილისი, 201.

5. თ.სისაური, არასრულწლოვანთა დანაშაულის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათება, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე, თბილისი 2015

6. კუსიანი ე. ძალადობა ოჯახში და მისი გადაჭრის გზები. კატეგორია: გენდერი კავკასიაში. 2012-03-01

7. იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიგი უგულავას განცხადება 2004 წლის თებერვალი

8. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიური ანგარიში პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე, 2006 წლის 14 თებერვალი

9. შალიკაშვილი, მ., „არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები“, თბ., 2013 წ.

10. „ნულოვანი ტოლერანტობიდან ლიბერალიზაციისაკენ“. ციხის საერთაშორისო რეფორმა. თბ., 2011წ.

11. „დანაშაულთა კვლევა საქართველოში“, კვლევა ჩატარდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივითა და ევროკავშირის დაფინანსებით, კვლევის ტექნიკური ნაწილი განახორციელა კომპანია „გორბი“–მ. საბოლოო ანალიზი მოამზადეს ვიქტიმილოგიისა და ადამიანის უსაფრთხოების პროფესორმა – იან ვან დაიკმა, და კრიმინოლოგიის პროფესორმა გიორგი ღლონტმა

12. ამონარიდები პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამიდან

13. ავტორთა კოლექტივი (გ. დაჭყებია, ნ.თოდუა, მ.ლეკვეიშვილი, მ.ივანიძე, თ.ცქიტიშვილი, ქ.მჭედლიშვილი–ჰედრიხი). „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში; გამომცემლობა „მერიდიანი“; თბ.2016 წ., გვ.13 https://tsu.ge/science/?leng=ge&lcat=jurnal&jnomeri=7&tid=11

14. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო, საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგია. 2013–2017წწ. გვ.3

15. საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 12/06/2015.

16. ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ, განმარტებები, გვ. 17.

17. გაეროს ბავშვთა ფონდი 2017, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება კანონმდებლობის კვლევა - https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf

18. საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.

19. მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე , არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016,

20. ვახტანგ შუკაკიძე არასრულწლოვნის პირველი კონტაქტი პოლიციასთან

21. Роулинсон П. Российская организованная преступность: краткая история // Российская организованная преступность: новая угроза? — М., 2000.

22. Александров Ю. К. Очерки криминальной субкультуры. М.: Права человека. 2012.

23. Скобликов П. А. Вор в законе. МВД России: энциклопедия. Olma Media Group, 2002

24. В.В. ВОЛКОВ, СИЛОВОЕ ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСТВО В СОВРЕМЕННОЙ РОССИИ. ecsocman.hse.ru. 12 .01.2019.

25. Светлана Стивенсон. Жизнь по понятиям: «реальные пацаны» и их моральные правила. magazines.russ.ru. 12.01.2019.

26. Lutfey, K., & Mortimer, J. (2006). Development and Socialization through the Adult Life Course. In J. Delamater (Ed.), Handbook of Social Psychology (გვ. 183-202): Springer US.

27. Hall, S., & Jefferson, T. (1976). Resistance through rituals: Youth subcultures in post-war Britain. New York: Holmes & Meyer

28. Corsaro, W. A. (2011). The sociology of childhood (3rd ed.). Thousand Oaks: Pine Forge Press

29. Foucault, M., Martin, L. H., Gutman, H., & Hutton, P. H. (1988). Technologies of the self: A seminar with Michel Foucault. Amherst, MA: University of Massachusetts Press.

30. Handel, G., Cahill, S., & Elkin, F. (2007). Children and Society: The Sociology of Children and Childhood Socialization. New York: Oxford University Press.

31. Bronfenbrenner, U. (1979). The Ecology of Human Development: Experiments by Nature and Design. Cambridge, MA: Harvard Univ Press.

32. James A Reavis, Jan Looman, Kristina A Franco , Briana Rojas; Adverse Childhood Experiences and Adult Criminality: How Long Must We Live before We Possess Our Own Lives? US National Library of Medicine National Institutes of Health; 2013 Spring;

33. What are the challenges in addressing substance use disorders in this population? Criminal Justice. June 2020 - https://www.drugabuse.gov/sites/default/files/drugfacts-criminal-justice.pdf

34. Diemer, H./ Schoreit, A./ Sonnen, B-R., 2008. S. 373.

35. Wilson, J. Q./Kelling, G.I., 1996. S. 121-137

36. საქართველოს უზენაესი სასამართლო განაჩენი, საქმის ნომერი - 2კ-722აპ., 19 თარიღი 09/03/2020.

37. საქართველოს უზენაესი სასამართლო განაჩენი, საქმე №372აპ-18, 30 ნოემბერი, 2018 წელი

38. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება El Masri v The Former Yugoslav Republic of Macedonia №39630/09.

39. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება - Hassan v The UK) №29750/09.